# ლელო

№ 57
(11 206)

21 – 23 ივლისი, 1998 წ.

ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


### პირველი მსოფლიო ახალგაზრდული თამაშები

# როცა მსოფლიოში მეექვსე ვართ და 125 ქვეყანა ჩამოგვრჩება, სიამაყის უფლება, დიახაც გვაქვს...

**საქართველოს სპორტსმენებმა მსოფლიო ახალგაზრდული თამაშების პროგრამით გათვალისწინებულ ოფიციალურ შეჯიბრებებში 2 ოქროს, 4 ვერცხლისა და 11 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს და საერთო გუნდურ ჩათვლაში 131 ქვეყნიდან წინ მხოლოდ რუსეთის, უკრაინის, ჩინეთის, პოლონეთისა და ბელარუსის გუნდები გაუშვეს. ვულოცავთ!**

*ამ წარმატებასთან დაკავშირებით, ორშაბათის ტრადიციულ რადიოინტერვიუში ქვეყნის პრეზიდენტმა ე. შევარდნაძემ თქვა:* „საქართველოს სპორტულ წარმატებებს ყველანი, მართლაც, მოუთმენლად ველოდით. მრავალ ასპარეზობებზე გამარჯვებებს თან სდევს არა მარტო სპორტული ღირსებისათვის, არა მარტო სპორტული მედლებისათვის ბრძოლა, არამედ ეს არის პირველი ნიშანი იმისა, რომ ერის ფიზიკური გაჯანსაღება იწყება, მისი სულიერი გაჯანსაღების პროცესი დაიწყო. ეს პროცესი შეუქცევადია. დარწმუნებული ვიყავით, ქართველი ახალგაზრდები მცირე ოლიმპიადიდან, როგორც მას უწოდებენ, ხელდამშვენებულნი დაგვიბრუნდებოდნენ, რითაც გაახარებდნენ მშობლებს, მთელ ქვეყანასა და მათ შორის პრეზიდენტს. ვულოცავ წარმატებას სპორტსმენებს, მათს მწვრთნელებს, სპორტის დეპარტამენტს, ოლიმპიურ კომიტეტს, მთელ სპორტულ საზოგადოებრიობას.

არ გამოვრიცხავ, რომ საქართველოს სპორტული დელეგაცია თბილისში დაბრუნებისთანავე მივიღო. ბედნიერი ვარ, რომ როგორც პრეზიდენტმა, რაც ჩემზე იყო დამოკიდებული, ყველაფერი გავაკეთე მათი წარმატებისათვის და, ვფიქრობ, მექნება საშუალება მათ რამდენიმე თბილი მამაშვილური სიტყვა ვუთხრა, როცა შევხვდები“.

პრეზიდენტმა სიტყვა შეასრულა — მოსკოვიდან დაბრუნებული ჩვენი სპორტული დელეგაცია აეროპორტიდან პირდაპირ გაეშურა პრეზიდენტთან შესახვედრად.

შეხვედრაზე, მართლაც ბევრი თბილი სიტყვა ითქვა ჩვენი სახელოვანი სპორტსმენების, მათი მწვრთნელებისა და ქართული სპორტის მესვეურთა მისამართით. უნდა ვიფიქროთ, რომ ამიერიდან, ქართულ სპორტს საერთოდ, და კერძოდ, ბავშვთა და ახალგაზრდთა სპორტს მეტი ყურადღება მიექცევა ჩვენს ქვეყანაში.

*სპორტულ დელეგაციასთან შეხვედრისას ე. შევარდნაძემ თქვა:* „ღრმად ცდებიან ის ადამიანები, რომლებიც თვლიან, რა დროს სპორტია ამ გაჭირვების ჟამსო. ეს ასე არ არის. საქართველომ თქვენი წარმატებით უკვე გადადგა პირველი ნაბიჯი ერის სულიერი თუ ფიზიკური გაჯანსაღებისათვის და ეს ანარეკლია იმ პროცესებისა, რომელიც ჩვენს ქვეყანაში მიმდინარეობს.

ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ თქვენი ეს წარმატება იქნება იმ დიდი გამარჯვებების საწინდარი, რომელიც ჩვენ აწი გველის მეცნიერებაში, კულტურაში, ხელოვნებაში, სპორტში.

თითოეული თქვენთაგანის დიდი თუ პატარა წვლილი, ამ თამაშებშიც კი, საქართველოს სახელმწიფოს ჭირდება, საქართველოს დამოუკიდებლობაში შეტანილი სერიოზული წვლილია. მინდა, თქვენ ეს ასე გესმოდეთ, რადგანაც ამით კი არ მთავრდება, არამედ იწყება თქვენი დიდი ლაშქრობა სპორტში, ბევრი თქვენგანისათვის, ალბათ, მეცნიერებაში და ცხოვრების სხვადასხვა სფეროში“.

**პირველი** მსოფლიო ახალგაზრდული თამაშები ალბათ ყველასთვის და ჩვენთვისაც მომავლის ეროვნული ოლიმპიური იმედისა და შესაძლებლობების დათვალიერება-შემოწმების საუკეთესო საშუალება იყო. მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადების შემდეგ ამის შესაძლებლობა აღარ ყოფილა და უცებ, იმ უკვე თითქმის სავსებით მივიწყებულმა საკავშირო სპორტულმა არეალმა მსოფლიო მასშტაბი შეიძინა, მომავალ ოლიმპიელებს, ვიდრე ისინი სიდნეიში ან ათენში ერთმანეთს შეხვდებიან ოლიმპიურ თამაშებში, პლანეტის თანატოლებთან პაექრობებში დააფიქსირეს თავიანთი ავანსი.

მოსკოვში გამართული თამაშები უკვე ისტორიაში გადავიდა. 131 ქვეყნის რჩეულმა სპორტსმენებმა (ნავარაუდევი იყო 140 ქვეყნის მონაწილეობა) გაინაწილეს მედლების სრული კომპლექტი, ამასთან, იგივე პატივი მიაგეს სპორტის იმ სახეობის წარმომადგენლებსაც, რომლებმაც მხოლოდ საჩვენებელი გამოსვლებით დაამახსოვრეს თავი თამაშების ორგანიზატორებს და მონაწილეებს.

ზემოთ, მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადები ვახსენეთ. იმ სპარტაკიადებში 15 მოკავშირე რესპუბლიკას შორის ჩვენი პროგრამა მაქსიმუმი გვქონდა ხოლმე – V1-VII ადგილი, ზოგჯერ უარესიც გვქონია. ტრადიციუ-

იხ. მე-3 გვ.

## 5 მედალი ავსტრიიდან...

ევროპის იმ 6 პირველობიდან ჭაბუკთა და გოგონათა შორის, რომელიც ყოველწლიურად ტარდება, ერთ-ერთი ამ დღეებში ზუსტად ავსტრიაში, ქ. მურეკში გაიმართა და ქართველი მოჭადრაკეების წარმატებით დამთავრდა.

10 წლამდე ბიჭებს შორის ვერცხლის მედალი დარჩა თბილისელ დავით ბარამიძეს. 14 წლამდე გოგონებს შორის ევროპის ჩემპიონი გახდა თელაველი ლელა ჯავახიშვილი, რომელსაც ამ ბოლო ხანებში დიდი წარმატებები აქვს. ასევე 14 წლის ჭაბუკებს შორის ჩინებულად იასპარეზა ზვიად იზორიამ (ხონი). ჩვენი ორი წარმომადგენელი გამოდიოდა 16 წლამდე გოგონების ასპარეზობაში. აქ, ისევე როგორც შარშან, ევროპის ჩემპიონი გახდა თელაველი ანა მათნაძე, რომელსაც ნონა გაფრინდაშვილი ავარჯიშებს. შემოდგომაზე ანა მსოფლიო ჩემპიონატზეც მიიღებს მონაწილეობას. ამავე ტურნირში ქუთაისელ ინგა ჭარხალაშვილს მესამე ადგილი დარჩა.

### UEFA ევროპის საკლუბო ტურნირები

# ხვალ!..

### ჩემპიონთა ლიგა

**ჩემპიონთა ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი**

# „დინამო“ (თბილისი) – „ვლაზნია“ (შკოდერი) – ხურცილავას პირველი გამოცდა

მაშ ასე, ხვალ საქართველოს უცვლელი ჩემპიონი ევროტურნირებში ჩაებმევა.. გულშემატკივრებმა ალბათ კარგა ხანია, ასე თუ ისე, დაივიწყეს შარშანდელი იმედგაცრუება, ლევერკუზენური თუ პორტუგალიური კოშმარები. იმედგაცრუებაში იმას ვგულისხმობთ, რომ თბილისის „დინამოს“ მატჩამდე ჰქონდა თამაშები წაგებული. რეალობას კი ყველანი ვხედავთ და ჩვენი საკლუბო ფლაგმანისგან მხოლოდ ჭიგრიან, თავგანწირულ და გაუმჯობესებულ თამაშს ველით. ყველაფერ ამით და ჩვენი ბიჭების ნიჭიერებით რატომ არ შეგვიძლია ჩემპიონთა ლიგაში გავძვრეთ? ოღონდ ეგაა, ეროვნული სტადიონი ვერ გაივსება — უეფას მოთხოვნით მაყურებელი მხოლოდ პლასტმასის სავარძლებზე უნდა განლაგდეს და კიდევ იმ არაინდივიდუალურ



და არაპლასტმასის სკამებზე, რომლებიც ჩვენი მთავარი სტადიონის მთლიანი ტევადობის 10 %-ს შეადგენს. ასე რომ, ჯერჯერობით მხოლოდ 9-10 ათასი გულშემატკივრის „ატანა“ შეუძლია ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონს ევროტურნირებზე. ყველაფერ ამის გამო, თბილისის „დინამოს“ ვიცე-პრეზიდენტი რომან შოთაძე თხოვნით მიმართავს გულშემატკივრებსა და სამართალდამცავებს გაგებით მოეკიდონ ამ საკითხს. წინააღმდეგ შემთხვევაში, უეფა სოლიდურ ჯარიმას გადაახდევინებს კლუბს და „დინამოს“ ხელმძღვანელობაც მომდევნო თამაშს ბილბაოს „ატლეტიკოსთან“ (თუ ჯერ „ვლაზნიას“ ვძლევთ) სხვა სტადიონზე გადაიტანს, ალბათ ბათუმში, უკიდურეს შემთხვევაში, საზღვარგარეთ...

დინამოელთა თავკაცი მურთაზ ხურცილავა ესტონეთში შეკრებით კმაყოფილია და მას ნაყოფიერად მიიჩნევს. გუნდის ძირითადი მეკარე რამაზ სოლოღაშვილი იქნება, სათადარიგო — ზურაბ ბათიაშვილი. ლევან კობიაშვილი მარცხენა მცველის პოზიციაზე ითამაშებს — ამის მეტი, „დინამოს“ სავარაუდო შემადგენლობაზე, შკოდერის „ვლაზნიასთან“ მატჩისთვის მურთაზ ხურცილავას არაფერი უთქვამს. მიხეილ აშვეთიას ტრავმა აწუხებს, რის გამოც ჩვეულ ფორმაში ვერაა და „ვლაზნიასთან“ მისი თამაში სათუოა. გუნდის განაცხადი ხურცილავას მთლიანად შევსებული არა აქვს, 4-5 ადგილი ვაკანტურია და დინამოელთა თავკაცი სამომავლოდ ახალწვეულების დამატებას აპირებს. მისი მხედველობის არეში საქართველოს 18 წლამდე ნაკრების ორი ფეხბურთელიცაა — საჯაია და ხიზანიშვილი. ხურცილავამ გვამცნო, რომ, თუ „დინამო“ ჩემპიონთა ლიგაში ვერ მოხვდება, გუნდი წამყვანი მოთამაშეებისგან მაინც არ დაიცლება. „დღევანდელ პირობებში ძალიან ძნელია „დინამომ“ ისეთი გუნდი დაამარცხოს, როგორიც „ატლეტიკოა“. მაგრამ ფეხბურთში გამარჯვების შანსი ყოველთვის არის, აქცენტი ახალგაზრდებზე გადამაქვს, იმ ბიჭებზე, რომლებიც მოედანზე ყველაფერს გაიღებენ, თავს არ დაზოგავენ. ასეთ შემთხვევაში გულშემატკივარი ალბათ წარუმატებლობის გამოც დიდად არ დაგვძრახავს. არც „ვლაზნიაა“ სუსტი გუნდი და ჯერჯერობით ჩვენ მხოლოდ ალბანური ბარიერის გადალახვაზე ვფიქრობთ“ — განაცხადა მურთაზ ხურცილავამ.

ახალი გუნდის შექმნა 2-3 თვეში ძალზე ძნელი კია, მაგრამ მთავარმა მწვრთნელმა თავისი ხელი თბილისის „დინამოს“ უკვე ნაღდად უნდა დაატყოს და ხვალ ალბათ პირველ სერიოზულ გამოცდასაც ჩააბარებს ხურცილავას „დინამო“.

დათო თავართქილაძე

### რედაქტორის სვეტი

# თანამდგომი

დღეს თუ საქართველოში სპორტის სიცოცხლისუნარიანობა ჯერ კიდევ შენარჩუნებულია და მომავლის რწმენაც გვაქვს, ისევ და ისევ იმ ადამიანთა პიროვნული ძალისხმევის შედეგია, რომლებიც ზეგავლენის მასშტაბისა და შესაძლებლობების ფარგლებში ყურადღებას არ აკლებენ ქართულ სპორტს. ერთ-ერთი უმთავრესი დასაყრდენი დღეს ამ სფეროში აჭარაა. ჩვენი ქვეყნის ამ ძირძველ მხარეში სტაბილურობამ ბევრი რამ გადაარჩინა და მათ შორისაა სპორტი, თავისი შესანიშნავი კადრებით, ძველი სპორტული ბაზებით, ახალი თუ განახლებული ობიექტებით. სწორედ ამიტომ, ბუნებრივია, საქართველოს სპორტულ მონაგარში ესოდენ თვალსაჩინოა აჭარის წვლილი, რაც სისტემატურად იზრდება და შთამბეჭდავი ხდება. უჭირს დღეს ქვეყანას და უჭირს ქართულ სპორტს, მაგრამ აჭარის ხელმძღვანელობა მუდამ მზადაა, არა მხოლოდ თავისი წარმომადგენლები, არამედ ეროვნული ნაკრების სხვა წევრებიც დააფინანსოს — მიავლინოს ავტორიტეტულ საერთაშორისო შეჯიბრებებში. მაგალითების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. ეს-ესაა დასრულდა მსოფლიო ახალგაზრდობის სპორტული თამაშები მოსკოვში, სადაც წარმატებით გამოიჩინეს თავი ჩვენი ქვეყნის სპორტსმენებმა. და ამ მიღწევაში, აჭარას არა მხოლოდ თავიანთი, საერთოდ, ქვეყნის სპორტსმენთა მიერ მოპოვებულ გამარჯვებებში უდევს ლომის წილი. აჭარაში სპორტული საქმიანობა ალმავლობის გზით მიდის, ბათუმი კი მტკიცედ იმკვიდრებს საერთაშორისო ასპარეზობების საუკეთესო მასპინძლის სახელს, ჩინებულია აქაური სტადიონი, ჩოგბურთის ახალი კორტები, სხვა სპორტული ბაზები.

ყველაფერს პატრონი უნდაო — ნათქვამია. პატრონი აჭარაში სპორტსაც ჰყავს და ეს ქვეყანამ იცის. ქვეყანამ ისიც იცის, რომ აჭარის ხელმძღვანელი საერთოდაა ქართული სპორტის გულიანი შემწე და ქომაგი. ამიტომაც, ერთიან საქართველოსთან ერთად, *გულწრფელად ულოცავს ბატონ ასლან აბაშიძეს დაბადებიდან 60 წლისთავს ჩვენი ქვეყნის სპორტული საზოგადოებრიობა.*

## ჩვენი მეტოქეები ევროპულ თასებზე

*ჩემპიონთა ლიგისა და უეფას თასის წინასწარი რაუნდი, როგორც უკვე ვიუწყებოდით, 22 ივლისს იწყება, ამასთან, თბილისის „დინამო“ და ფოთის „კოლხეთი“ პირველ შეხვედრებს საკუთარ მინდორზე ატარებენ შესაბამისად შკოდერის „ვლაზნიასა“ (ალბანეთი) და ბელგრადის „ცრვენა ზვეზდასთან“ (იუგოსლავია). რაც შეეხება ბათუმის „დინამოს“, იგი თასების მფლობელია თასის საკვალიფიკაციო რაუნდის პირველ მატჩს ბელგრადის „პარტიზანთან“ სტუმრად მხოლოდ 13 აგვისტოს გამართავს. ამ შეხვედრაზე ჩვენ მოგვიანებით ვისაუბრებთ.*

### შკოდერის „ვლაზნია“

*ბოლო წლებში არაერთხელ გვქონდა საქმე ალბანეთის ნაკრებთან. ახლა ერთხელ კიდევ უნდა შევხვდეთ მას, რადგან შკოდერის „ვლაზნია“ თავისი შემადგენლობით, თუ ორიოდე გამონაკლისს არ გავითვალისწინებთ, თითქმის არ განსხვავდება ეროვნული ნაკრებისგან.*

*შეიქმნა თუ არა 1930 წელს ალბანეთის ფეხბურთის ფედერაცია (ფედერატა შკიპტარიე ფუტბოლიტ), მან მაშინვე დაიწყო ეროვნული ჩემპიონატის ჩატარება. რახან ალბანური ფეხბურთი იტალიური და იუგოსლავიური სკოლების გავლენით განვითარდა, ალბანელები, ცხადია, ცდილობდნენ ბევრი რამ გადაეღოთ ამ მოწინავე ქვეყნებისაგან. გასაგებია, ლაპარაკია თამაშის სტილზე, თორემ განსხვავება კლასში, ცხადია, უზარმაზარია.*

*ომამდე შკოდერის „ვლაზნია“ რაიმე მნიშვნელოვან როლს ალბანურ ფეხბურთში არ ასრულებდა. მაშინ ჩატარდა სულ 6 ჩემპიონატი, ხუთჯერ გაიმარჯვა „სკ ტირანამ“, ერთხელ კორჩას „სკანდერბეგმა“.*

*როგორც კი განახლდა ომის შემდეგ ალბანეთის ჩემპიონატი, „ვლაზნიამ“ მაშინვე აღიმაღლა ხმა: ჩემპიონი გახდა 1945 და 1946 წლებში. ქვეყნის თასის გათამაშება მაშინ არ ტარდებოდა. მართალია, 1947 წლიდან უპირატესობა კვლავ ტირანას გუნდებმა მიიღეს. ამიერიდან იმარჯვებდნენ ან დედაქალაქის „პარტიზანი“ ან „დინამო“, ან „17 ნენდური“.*

*„ვლაზნიამ“ წარმატებას მიაღწია მხოლოდ 1968 წელს, როცა ქვეყნის თასს დაეუფლა. რამდენიმე წლის შემდეგ შკოდერის კლუბი საგრძნობლად მომძლავრდა. გადავხედოთ მის შემდგომ წარმატებებს: 1972 — ჩემპიონი, 1974 — ჩემპიონი, 1978 — ჩემპიონი, 1979 — თასის მფლობელი, 1981 — თასის მფლობელი, 1983 — ჩემპიონი, 1987 — თასის მფლობელი, 1992 — ჩემპიონი, 1998 — ჩემპიონი.*

*ერთი სიტყვით, „ვლაზნია“ წლების განმავლობაში ტირანას კლუბების უმთავრესი მეტოქე იყო და უძლიერესი — პროვინციულ გუნდებს შორის.*

*დღემდე „ვლაზნიას“ ნათამაშევი აქვს სამივე ევროპულ თასზე, თუმცა პირველ წრეს ვერასოდეს გასცდა. საინტერესოა ისიც, რომ სამჯერ ალბანელებმა მონაწილეობა კი მიიღეს წილისყრაში, მაგრამ თამაშზე არ გამოცხადდნენ.*

*„ვლაზნიას“ ახლანდელი მწვრთნელია ჰუსეინ დედია, თამაშობს 15 ათასიან საკუთარ სტადიონზე, რომელიც ტირანას „ქემალ სტაფასა“ (24 000 და ტირანას „დინამოს“ 21 000) შემდეგ უდიდესია ქვეყანაში.*

### ბელგრადის „ცრვენა ზვეზდა“

*„ცრვენა ზვეზდა“ მსოფლიოში დიდად პოპულარული კლუბია. იგი 1945 წლის 4 მარტს დააარსეს ბელგრადის უნივერსიტეტის სტუდენტებმა, ხოლო*

იხ. მე-3 გვ.

# სფფ მიდის სპორტის დეპარტამენტში

როგორც ცნობილია, ამ დღეებში გამართულმა სფფ-ს აღმასკომის სხდომამ გადაავადა 24 ივლისს დანიშნული სფფ-ს ყრილობა. საბაბად კი იუსტიციის სამინისტროს დასკვნა და პარლამენტის სპორტის ქვეკომიტეტის წერილი იქცა, რომელთა მიხედვით ბევრი რამაა დასაზუსტებელი იურიდიული თვალსაზრისით და საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებით.

დღეს, 21 ივლისს, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტში ჩატარდება ამ ორგანიზაციის კოლეგიისა და სფფ-ს აღმასკომის გაფართოებული სხდომა, რომელმაც ბევრ ბუნდოვან კითხვას უნდა გასცეს პასუხი და ყრილობის ჩატარების თარიღიც განსაზღვროს, ამასთან, ნავსიც გატყდება, რადგან სფფ ადრე უარობდა სპორტის დეპარტამენტთან ურთიერთობას.

პარლამენტის შესაბამისმა კომიტეტმა ურჩია ფეხბურთის ფედერაციას, სპორტის დეპარტამენტთან და იუსტიციის სამინისტროსთან ერთად მოამზადონ სფფ-ს ყრილობა, რისთვისაც იკრიბებიან კიდეც სპორტის დეპარტამენტში.

„ბუმათე“ — „ლელო“

UEFA EURO 2000

# 1998-2000 წლების ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი

## I ჯგუფი

**იტალია, დანია, შვეიცარია, უელსი, ბელარუსი**

| | |
|---|---|
| 05.09.98 | უელსი - იტალია |
| 05.09.98 | ბელარუსი - დანია |
| 10.10.98 | დანია - უელსი |
| 10.10.98 | იტალია - შვეიცარია |
| 14.10.98 | უელსი - ბელარუსი |
| 14.10.98 | შვეიცარია - დანია |
| 27.03.99 | დანია - იტალია |
| 27.03.99 | ბელარუსი - შვეიცარია |
| 31.03.99 | იტალია - ბელარუსი |
| 31.03.99 | შვეიცარია - უელსი |
| 05.06.99 | დანია - ბელარუსი |
| 05.06.99 | იტალია - უელსი |
| 09.06.99 | უელსი - დანია |
| 09.06.99 | შვეიცარია - იტალია |
| 04.09.99 | დანია - შვეიცარია |
| 04.09.99 | ბელარუსი - უელსი |
| 08.09.99 | იტალია - დანია |
| 08.09.99 | შვეიცარია - ბელარუსი |
| 09.10.99 | უელსი - შვეიცარია |
| 09.10.99 | ბელარუსი - იტალია |

## II ჯგუფი

**ნორვეგია, საბერძნეთი, საქართველო, ლატვია, სლოვენია, ალბანეთი.**

| | |
|---|---|
| 05.09.98 | საქართველო - ალბანეთი |
| 06.09.98 | საბერძნეთი - სლოვენია |
| 06.09.98 | ნორვეგია - ლატვია |
| 10.10.98 | ალბანეთი - საბერძნეთი |
| 10.10.98 | სლოვენია - ნორვეგია |
| 10.10.98 | ლატვია - საქართველო |
| 14.1098 | ნორვეგია - ალბანეთი |
| 14.10.98 | საბერძნეთი - საქართველო |
| 14.10.98 | სლოვენია - ლატვია |
| 27.03.99 | საბერძნეთი - ნორვეგია |
| 27.03.99 | საქართველო - სლოვენია |
| 31.03.99 | სლოვენია - ალბანეთი |
| 31.03.99 | ლატვია - საბერძნეთი |
| 28.04.99 | ალბანეთი - ლატვია |
| 28.04.99 | საქართველო - ნორვეგია |
| 30.05.99 | ნორვეგია - საქართველო |
| 05.06.99 | ალბანეთი - ნორვეგია |
| 05.06.99 | საქართველო - საბერძნეთი |
| 05.06.99 | ლატვია - სლოვენია |
| 09.06.99 | ალბანეთი - სლოვენია |
| 09.06.99 | საბერძნეთი - ლატვია |
| 04.09.99 | ნორვეგია - საბერძნეთი |
| 04.09.99 | ლატვია - ალბანეთი |
| 04.09.99 | სლოვენია - საქართველო |
| 08.09.99 | საბერძნეთი - ალბანეთი |
| 08.09.99 | ნორვეგია - სლოვენია |
| 08.09.99 | საქართველო - ლატვია |
| 09.10.99 | ალბანეთი - საქართველო |
| 09.10.99 | სლოვენია - საბერძნეთი |
| 09.10.99 | ლატვია - ნორვეგია |

## III ჯგუფი

**გერმანია, თურქეთი, ფინეთი, ჩრდ. ირლანდია, მოლდოვა**

| | |
|---|---|
| 05.09.98 | ფინეთი - მოლდოვა |
| 05.09.98 | თურქეთი ჩრდ. ირლანდია |
| 10.10.98 | თურქეთი - გერმანია |
| 10.10.98 | ჩრდ. ირლანდია - ფინეთი |
| 14.10.98 | მოლდოვა - გერმანია |
| 14.10.98 | თურქეთი - ფინეთი |
| 18.11.98 | ჩრდ.ირლანდია - მოლდოვა |
| 27.03.99 | ჩრდ.ირლანდია - გერმანია |
| 27.03 99 | თურქეთი - მოლდოვა |
| 31.03.99 | გერმანია - ფინეთი |
| 31.03.99 | მოლდოვა - ჩრდ.ირლანდია |
| 04.06.99 | გერმანია - მოლდოვა |
| 05.06.99 | ფინეთი - თურქეთი |
| 09.06.99 | მოლდოვა - ფინეთი |
| 04.09.99 | ფინეთი - გერმანია |
| 04.09.99 | ჩრდ.ირლანდია - თურქეთი |
| 08.09.99 | გერმანია - ჩრდ.ირლანდია |
| 08.09.99 | მოლდოვა - თურქეთი |
| 09.10.99 | გერმანია - თურქეთი |
| 09.10.99 | ფინეთი - ჩრდ.ირლანდია |

## IV ჯგუფი

**რუსეთი, საფრანგეთი, უკრაინა, ისლანდია, სომხეთი, ანდორა**

| | |
|---|---|
| 05.09.98 | სომხეთი - ანდორა |
| 05.09.98 | უკრაინა - რუსეთი |
| 05.09.98 | ისლანდია - საფრანგეთი |
| 10.10.98 | ანდორა - უკრაინა |
| 10.10.98 | სომხეთი - ისლანდია |
| 14.10.98 | უკრაინა - სომხეთი |
| 14.10.98 | საფრანგეთი - ანდორა |
| 14.10.98 | ისლანდია - რუსეთი |
| 27.03.99 | ანდორა - ისლანდია |
| 27.03.99 | საფრანგეთი - უკრაინა |
| 27.03.99 | სომხეთი - რუსეთი |
| 31.03.99 | უკრაინა - ისლანდია |
| 31.03.99 | რუსეთი - ანდორა |
| 31.03.99 | საფრანგეთი - სომხეთი |
| 05.06.99 | უკრაინა - ანდორა |
| 05.06.99 | საფრანგეთი - რუსეთი |
| 05.06.99 | ისლანდია - სომხეთი |
| 09.06.99 | ანდორა - საფრანგეთი |
| 09.06.99 | რუსეთი - ისლანდია |
| 09.0699 | სომხეთი - უკრაინა |
| 04.09.99 | უკრაინა - საფრანგეთი |
| 04.09.99 | ისლანდია - ანდორა |
| 04.09.99 | რუსეთი - სომხეთი |
| 08.09.99 | ანდორა - რუსეთი |
| 08.09.99 | ისლანდია - უკრაინა |
| 08.09.99 | სომხეთი - საფრანგეთი |
| 09.10.99 | საფრანგეთი - ისლანდია |
| 09.10.99 | რუსეთი - უკრაინა |
| 09.10.99 | ანდორა - სომხეთი |

## V ჯგუფი

**ინგლისი, ბულგარეთი, შვედეთი, პოლონეთი, ლუქსემბურგი**

| | |
|---|---|
| 05.09.98 | შვედეთი - ინგლისი |
| 06.09.98 | ბულგარეთი - პოლონეთი |
| 10.10.98 | პოლონეთი - ლუქსემბურგი |
| 10.10.98 | ინგლისი - ბულგარეთი |
| 14.10.98 | ლუქსემბურგი - ბულგარეთი |
| 14.10.98 | ბულგარეთი - შვედეთი |
| 27.03.99 | შვედეთი - ლუქსემბურგი |
| 27.03.99 | ინგლისი - პოლონეთი |
| 31.03.99 | პოლონეთი - შვედეთი |
| 31.03.90 | ლუქსემბურგი - ბულგარეთი |
| 05.06.99 | პოლონეთი - ბულგარეთი |
| 05.06.99 | ინგლისი - შვედეთი |
| 09.06.99 | ლუქსემბურგი - პოლონეთი |
| 09.06.99 | ბულგარეთი - ინგლისი |
| 04.09.99 | ინგლისი - ლუქსემბურგი |
| 05.09.99 | შვედეთი - ბულგარეთი |
| 08.09.99 | პოლონეთი - ინგლისი |
| 08.09.99 | ლუქსემბურგი - შვედეთი |
| 09.10.99 | შვედეთი - პოლონეთი |
| 10.10.99 | ბულგარეთი - ლუქსემბურგი |

## VI ჯგუფი

**ესპანეთი, ავსტრია, ისრაელი, კვიპროსი, სან-მარინო**

| | |
|---|---|
| 05.09.98 | ავსტრია - ისრაელი |
| 05.09.98 | კვიპროსი - ესპანეთი |
| 10.10.98 | კვიპროსი - ავსტრია |
| 10.10.98 | სან-მარინო - ისრაელი |
| 14.10.98 | სან-მარინო - ავსტრია |
| 14.10.98 | ისრაელი - ესპანეთი |
| 18.11.98 | სან-მარინო - კვიპროსი |
| 10.02.99 | კვიპროსი - სან-მარინო |
| 27.03.99 | ესპანეთი - ავსტრია |
| 28.03.99 | ისრაელი - კვიპროსი |
| 31.03.99 | სან-მარინო - ესპანეთი |
| 28.04.99 | ავსტრია - სან-მარინო |
| 05.06.99 | ესპანეთი - სან-მარინო |
| 06.06.99 | ისრაელი - ავსტრია |
| 04.09.99 | ავსტრია - ესპანეთი |
| 05.09.99 | კვიპროსი - ისრაელი |
| 08.09.99 | ისრაელი - სან-მარინო |
| 08.09.99 | ესპანეთი - კვიპროსი |
| 09.10.99 | ესპანეთი - ისრაელი |
| 10.10.99 | ავსტრია - კვიპროსი |

## VII ჯგუფი

**რუმინეთი, პორტუგალია, სლოვაკეთი, უნგრეთი, ლიხტენშტეინი, აზერბაიჯანი**

| | |
|---|---|
| 02.09.98 | რუმინეთი - ლიხტენშტეინი |
| 05.09.98 | სლოვაკეთი - აზერბაიჯანი |
| 06.09.98 | უნგრეთი - პორტუგალია |
| 10.10.98 | პორტუგალია - რუმინეთი |
| 10.10.98 | ლიხტენშტეინი - სლოვაკეთი |
| 10.10.98 | აზერბაიჯანი - უნგრეთი |
| 14.10.98 | ლიხტენშტ. - აზერბაიჯანი |
| 14.10.98 | უნგრეთი - რუმინეთი |
| 14.10.98 | სლოვაკეთი - პორტუგალია |
| 26.03.99 | პორტუგალია - აზერბაიჯ. |
| 27.03.99 | უნგრეთი - ლიხტენშტეინი |
| 27.03.99 | რუმინეთი - სლოვაკეთი |
| 31.03.99 | ლიხტენშტ. - პორტუგალია |
| 31.03.99 | აზერბაიჯანი - რუმინეთი |
| 31.03.99 | სლოვაკეთი - უნგრეთი |
| 05.06.99 | პორტუგალია - სლოვაკეთი |
| 05.06.99 | აზერბაიჯ.- ლიხტენშტეინი |
| 05.06.99 | პორტუგალია - ლიხტენშტ. |
| 09.06.99 | უნგრეთი - სლოვაკეთი |
| 09.06.99 | რუმინეთი - აზერბაიჯანი |
| 03.09.99 | აზერბაიჯ.- პორტუგალია |
| 04.09.99 | ლიხტენშტეინი - უნგრეთი |
| 04.09.99 | სლოვაკეთი - რუმინეთი |
| 08.09.99 | უნგრეთი - აზერბაიჯანი |
| 08.09.99 | რუმინეთი - პორტუგალია |
| 08.09.99 | სლოვაკეთი - ლიხტენშტ. |
| 09.10.99 | ლიხტენშტეინი - რუმინეთი |
| 09.10.99 | აზერბაიჯანი - სლოვაკეთი |
| 10.10.99 | პორტუგალია - უნგრეთი |

## VIII ჯგუფი

**იუგოსლავია, ხორვატია, ირლანდია, მაკედონია, მალტა**

| | |
|---|---|
| 05.09.98 | ირლანდია - ხორვატია |
| 06.09.98 | მაკედონია - მალტა |
| 10.10.98 | მალტა - ხორვატია |
| 10.10.98 | იუგოსლავია - ირლანდია |
| 14.10.98 | ირლანდია - მალტა |
| 14.10.98 | ხორვატია - მაკედონია |
| 18.11.98 | მალტა - მაკედონია |
| 10.02.98 | მალტა - იუგოსლავია |
| 27.03.99 | მაკედონია - ირლანდია |
| 27.03.99 | იუგოსლავია - ხორვატია |
| 31.03.99 | ხორვატია - მალტა |
| 31.03.99 | იუგოსლავია - მაკედონია |
| 05.06.99 | მაკედონია - ხორვატია |
| 05.06.99 | ირლანდია - იუგოსლავია |
| 09.06.99 | იუგოსლავია - მალტა |
| 04.09.99 | ხორვატია - ირლანდია |
| 08.09.99 | მალტა - ირლანდია |
| 08.09.99 | მაკედონია - იუგოსლავია |
| 10.10.99 | ხორვატია - იუგოსლავია |
| 10.10.99 | ირლანდია - მაკედონია |

## IX ჯგუფი

**შოტლანდია, ჩეხეთი, ლიტვა, ბოსნია, ფარერები, ესტონეთი**

| | |
|---|---|
| 04.06.98 | ესტონეთი - ფარერები 5-0 |
| 19.08.98 | ბოსნია - ფარერები |
| 05.09.98 | ბოსნია - ესტონეთი |
| 05.09.98 | ლიტვა - შოტლანდია |
| 06.09.98 | ფარერები - ჩეხეთი |
| 10.10.98 | ბოსნია - ჩეხეთი |
| 10.10.98 | ლიტვა - ფარერები |
| 10.10.98 | შოტლანდია - ესტონეთი |
| 14.10.98 | ლიტვა - ბოსნია |
| 14.10.98 | შოტლანდია - ფარერები |
| 14.10.98 | ჩეხეთი - ესტონეთი |
| 27.03.99 | ჩეხეთი - ლიტვა |
| 27.03.99 | შოტლანდია - ბოსნია |
| 31.03.99 | ლიტვა - ესტონეთი |
| 31.03.99 | შოტლანდია - ჩეხეთი |
| 05.06.99 | ბოსნია - ლიტვა |
| 05.06.99 | ესტონეთი - ჩეხეთი |
| 25.06.99 | ფარერები - შოტლანდია |
| 09.06.99 | ესტონეთი - ლიტვა |
| 09.06.99 | ფარერები - ბოსნია |
| 09.06.99 | ჩეხეთი - შოტლანდია |
| 04.09.99 | ბოსნია - შოტლანდია |
| 04.09.99 | ფარერები - ესტონეთი |
| 04.09.99 | ლიტვა - ჩეხეთი |
| 08.09.99 | ჩეხეთი - ბოსნია |
| 08.09.99 | ფარერები - ლიტვა |
| 08.09.99 | ესტონეთი - შოტლანდია |
| 09.10.99 | ესტონეთი - ბოსნია |
| 09.10.99 | ჩეხეთი - ფარერები |
| 09.10.99 | შოტლანდია - ლიტვა |

# სპორტის დეპარტამენტი, გოგი თოფაძე და ლევან პირველი მოთხილამურეებს ზამთარს, ცხელ ზაფხულშიაც უხანგრძლივებენ

ევროპაში და მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ცხელი ზაფხული დგას, მაგრამ სპორტის ზამთრის სახეობების მოყვარულები ვარჯიშს კვლავ აგრძელებენ არა ხელოვნურსაფარიან, არამედ ბუნებრივ, უხვთოვლიან ტრასებზე, რაშიაც მათ დიდ სამსახურს უწევს ავსტრიისა და იტალიის სათხილამურო ცენტრები.



მარცხნიდან: თამარ კარანაძე, სოფიკო ახმეტელი, კოტე გაბრიჩიძე (მწვრთნელი), გოდერძი დადვანი (მწვრთნელი), გიორგი თოფაძე, გიგლა მახარაშვილი ავსტრიის საზაფხულო ბუნებრივი სათხილამურო ტრასებით განთქმულ კურორტ ჰინტერტუქსში

საქართველოს სპორტის ზამთრის სახეობათა ფედერაცია, მას შემდეგ, რაც ამ ორგანიზაციას სპორტის მართლაც გულიანი ქომაგი გოგი თოფაძე ჩაუდგა სათავეში, ჩვენი მოთხილამურეები ზაფხულს შინ თოვლის მოლოდინში აღარ ატარებენ — სხვებთან ერთად ისინიც ევროპის ცნობილ სამთოსათხილამურო კურორტებზე აგრძელებენ წვრთნას, რაშიაც დიდ როლს ასრულებს პირადი მეგობრული კონტაქტები. ამჯერად ჩვენები ავსტრიაში, ცნობილ კურორტს ინტერტუქსში ემზადებოდნენ მომავალი მსოფლიოს პირველობისათვის, რომელიც აშშ-ი ველში გაიმართება. საქართველოს ეროვნული გუნდის ეს შეკრება სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტმა დააფინანსა, ახლა კი იმავე კურორტზე გოგი თოფაძისა და ლევან პირველის დახმარებით 20-დღიან მზადებას ავსტრიის ნაკრებთან ერთად გადის სოფიკო ახმეტელი. იგი აგვისტოში ჩამოვა თბილისში, სექტემბრიდან კი იტალიის ნაკრებთან მოემზადება მსოფლიოს პირველობისათვის. ამჯერადაც თავის სიტყვას გოგი თოფაძე და ლევან პირველი იტყვიან ფინანსურ მხარდაჭერაში. ამ ორი ცნობილი ბიზნესმენის და ქველმოქმედის დამსახურებაა, რომ ავსტრიელებმა მხოლოდ ერთადერთი გამონაკლისი დაუშვეს და თავის ტრასებზე უცხო ქვეყნის სპორტსმენს დართეს მზადების უფლება, თანაც თავიანთ ეროვნულ ნაკრებთან ერთად. ბიზნესმენებს კარგად ესმით თავიანთი კოლეგების ენა და ისიც მათი დამსახურებაა, რომ თხილამურების მწარმოებელ ცნობილ ფირმასთან „ატომიკთან“, რომელმაც წლეულს სუპერ-პროდუქცია გამოუშვა, უკვე მიღწეულია შეთანხმება ამ საუკეთესო თხილამურებით სოფიკო ახმეტელისა და ნაწილობრივ ჩვენი ნაკრების წევრების უზრუნველყოფის თაობაზე.



სოფიკო ახმეტელი ავსტრიის სათხილამურო ტრასაზე

## პირველი მსოფლიო ახალგაზრდული თამაშები

(პირველი გვერდიდან)

ლად ეს სპარტაკიადა იყო ქართული სპორტის ორიენტირი და, მიღწევები თუ წარუმატებლობები, ადექვატურად აისახებოდა სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადებსა და სხვა შეჯიბრებებში.

ამჯერად, მსოფლიოს 131 ქვეყანას შორის VI ადგილი! არ ვიცით, ვინ როგორ შეაფასებს ჩვენი წარგზავნილების ამ მიღწევას მსოფლიო ახალგაზრდულ თამაშებში, მაგრამ რაც მოვიპოვეთ, ჭეშმარიტად სენსაციურია. ამას რომ ვამბობთ, მხოლოდ ის არ იგულისხმება, მსოფლიოს 125 ქვეყანა რომ ჩამოვიტოვეთ. ეს თავისთავად. მთავარია, რა პირობებში მცხოვრებმა ქვეყანამ მივაღწიეთ ამ წარმატებას. სწორედ აღნიშნა ამ დღეებში კომენტარში —„ლელო“ №56) კახი ასათიანმა, რომ „ამ სპორტსმენებს ყველაზე რთულ პირობებში უხდებოდათ სპორტში პირველი ნაბიჯების გადადგმა ჩვენს ქვეყანაში შექმნილი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ვითარების გამო... ეს თაობა თავიანთ აღმზრდელებისა და ნიჭიერების წყალობით, მაინც ახერხებს დაიცვას სამშობლოს სპორტული ღირსება“...

იქნებ სწორედ ამ თამაშებიდან იწყება ბოლო წლებში მრავალ ჭირგამოვლილი და უსახსრობით დაოსებული ქართული სპორტის აღორძინება. თუ ეს მართლა ათვლის წერტილი გამოდგა, სპორტსმენთა ამ თაობას, მათ აღმზრდელებს და ქართული სპორტის დღევანდელ მესაჭეებს, მუდამ მადლიერებით მოიხსენიებს შთამომავლობა, მემატიანე არ დაივიწყებს მათ ნაამაგარს.

დავუბრუნდეთ თამაშების ბოლო დღეებს. როგორც გაუწყეთ, მედლების მოპოვების კარგი შანსი ჰქონდათ ჩვენს ჩოგბურთელებს ლაბაძეს და ჩახნაშვილს, როგორც ერთეულთა, ისე წყვილთა თანრიგში. ირაკლი ლაბაძემ მართლაც ჩინებულად იასპარეზა და თამაშების ჩემპიონის ტიტულს დაეუფლა. შემდეგ მან ირაკლი უშანგიშვილთან წყვილში ვერცხლის მედალი მოიპოვა. ასევე მეორე ადგილზე დარჩა ერთეულთა თანრიგში მაკა ჩახნაშვილი. ძიუდოში მამრიკიშვილის „ბრინჯაოს“ ზურაბ ზვიადაურის (90 კგ) ვერცხლის მედალი მიემატა. სპორტის ამ სახეობაში დანარჩენი ფალავნები საპრიზო ადგილის მიღმა დარჩნენ.

სამბო, მართალია, არ შედიოდა თამაშების პროგრამაში, მაგრამ რამდენიმე ქვეყნის გუნდი, მათ შორის ჩვენიც, საასპარეზოდ მიიწვიეს მოსკოვში. საქართველოს სამბისტებიდან ვერცხლის მედალი მოიპოვეს ქუთაისელმა თემურ ნეფარიძემ (60 კგ.), ფოთელმა ლევან ანთაძემ (75) და თბილისელმა მიხეილ ჩხეიძემ (მძიმე); ბრინჯაოს მედლები წილად ხვდათ ქუთაისელ თამაზ ნეფარიძეს (56) და მცხეთელ დავით ტატიშვილს (81).

## UEFA ევროპის საკლუბო ტურნირები 1

(პირველი გვერდიდან)

*1946 წლიდან მოყოლებული ქვეყნის უმაღლეს ლიგაში თამაშობს 20 - გზის ჩემპიონი და თასის 15 — გზის მფლობელია. აქ წლების განმავლობაში თამაშობდნენ მსოფლიოში განთქმული ფეხბურთელები: ვლადიმირ ბეარა, ვლადიმირ დურკოვიჩი, ვლადიმირ პეტროვიჩი (ახლანდელი მთავარი მწვრთნელი), რაიკო მიტიჩი, ბორა კოსტიჩი, დრაგოსლავ შეკულარეცი, ბრანკო ზებეცი; დრაგან ჯაიჩი და სხვები. მწვრთნელებს შორის დიდი წარმატებები ჰქონდათ იმავე მიტიჩსა და კოსტიჩს, ცნობილ სპეციალისტ მილან მილიანიჩს...*

*კლუბი თამაშობს საკუთარ „ცრვენა ზვეზდას“ (100 000) სტადიონზე, რომელსაც ხშირად თითქმის ოფიციალურადაც კი, „მარაკანას“ უწოდებენ. აქვე გამოდის იუგოსლავიის ეროვნული ნაკრები.*

*„ცრვენა ზვეზდა“ 1956 წლიდან მოყოლებული, სისტემატურად მონაწილეობს ევროპულ საკლუბო ტურნირებში. 1958 წელს მან დუნაის თასი მოიპოვა, 1968 წელს მიტროპას (შუა ევროპის)*

### თასების თასი

Cup Winners' Cup

*თასის ფინალისტი იყო. რაც შეეხება სამ ძირითად ევროპულ თასს, იგი 1992 წლის ჩათვლით, „ცრვენა ზვეზდას“ თითქმის არ გამოუტოვებია. ამასთან, როგორც წესი, ბელგრადელები გადიან რამდენიმე წრეს, ხოლო 1990-91 წლებში ჩემპიონთა თასზე უდიდეს წარმატებას მიაღწიეს: თანმიმდევრულად სძლიეს ციურიხის „გრასჰოპერსს“, „გლაზგო რეინჯერსს“, დრეზდენის „დინამოს“, მიუნხენის „ბაიერნს“, ფინალში კი პენალტებით მარსელის „ოლიმპიკს“. ამავე წელს „ცრვენა ზვეზდა“ საკონტინენტთაშორისო თასსაც დაეუფლა.*

*როგორც ცნობილია, რამდენიმე წლის მანძილზე იუგოსლავიურ გუნდებს ევროპულ თასებზე არ უშვებდნენ. „ცრვენა ზვეზდა“ ამ ასპარეზს მხოლოდ 1995 წლიდან დაუბრუნდა და სათანადო ამბიციებიც აქვს.*

## ანონსი

ქართველ წყალბურთელთათვის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირს თურქეთში დაესვა წერტილი. ამ ეტაპამდე შთამბეჭდავად წინ მიმავალმა ჩვენმა ეროვნულმა გუნდმა ფიასკო განიცადა და 8 უძლიერესის მიღმა დარჩა. მოულოდნელი იყო თუ კანონზომიერი ეს მარცხი? საერთოდ, გაგვაჩნია კი რაიმე პერსპექტივა ქართული წყალბურთის გეგმაზომიერი განვითარებისა და ტრადიციების აღდგენა-განმტკიცებისათვის? ბოლოს და ბოლოს დადგა დრო გულახდილი პასუხი გაეცეს ამ და სხვა კითხვებს. წყალთა სახეობების ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი ვლადიმერ გოიაშვილი დაგვთანხმდა „ლელოს“ მომდევნო ნომერში გულახდილი დიალოგი გამართოს ამ თემაზე „ლელოს“ კორესპონდენტთან.

## დიდოსტატის ბალი — კეკელიძეს

კაპელ-ლა-გრანდში (საფრანგეთი) დასრულდა ღია საერთაშორისო ტურნირი სხვადასხვა ქვეყნის 639 (!) მოჭადრაკის მონაწილეობით, შვეიცარული სისტემით, 9 ტურად. მოასპარეზეთა შორის იყო 89 დიდოსტატი და 110 საერთაშორისო ოსტატი.

პირველი ადგილი 7,5 ქულით ცნობილ მოსკოველ დიდოსტატ იგორ გლეკს დარჩა. ახალგაზრდა თბილისელმა ოსტატმა მიხეილ კეკელიძემ, რომელიც ახლა გერმანიაში სწავლობს, 6,5 ქულით დიდოსტატის ბალი მოიპოვა.

## ჩვენთვის სპორტის ახალი სახეობა

# სუმო საქართველოსაც ეწვია

***საქართველოს სპორტის ისტორიას ერთი საინტერესო ფურცელი შეემატება, სულ მალე დაფუძნდება სუმოს ეროვნული ფედერაცია, რომლის საორგანიზაციო კომიტეტის შეკრება 21 ივლისსაა დაგეგმილი. ამ სხდომაზე გადაწყდება დამფუძნებელი ყრილობის ჩატარების თარიღი.***

***„ლელოს“ კორესპონდენტს ესაუბრება ჩვენში სუმოს დანერგვის თაოსანი, საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე, ძიუდოს ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი, ანზორ მარტყოფლიშვილი.***

თავდაპირველად მკითხველს შევახსენებთ, რომ „ლელომ“ ადრე რამდენიმე პუბლიკაცია მიუძღვნა იაპონიის ამ ტრადიციულ სპორტს. ბოლო, შემეცნებითი ხასიათის მასალა კი წლეულს, 23 მაისს (№40), გამოქვეყნდა ჩვენს გაზეთში, სადაც ვრცლადაა წარმოდგენილი ამ სახეობის 13 საუკუნოვანი ისტორიის მთავარი შტრიხები.

— ამჟამად სუმო მსოფლიოს ხუთივე კონტინენტის 80-ზე მეტ ქვეყანაშია გავრცელებული, რამაც იაპონელებს შესაძლებლობა მისცა წამოეჭრა მისი ოლიმპიურ პროგრამაში ჩართვის საკითხი. ახლა ამ ქვეყნებს საქართველოც შეემატება. ასე რომ, მომზადებული შევხვდებით 2008 წელს, როცა ვარაუდობენ ოლიმპიურ თამაშებში სუმოს შეტანას — გვითხრა საუბრის დასაწყისში ა. მარტყოფლიშვილმა.

● ***პირადად თქვენ რამ გიბიძგათ ხელი მოგეკიდათ ჩვენს ქვეყანაში ჯერჯერობით ამ სრულიად უცნობი სპორტის დანერგვისათვის?***

— სუმო თავისი შინაარსით მართლაც გაუთვითცნობიერებელია ბევრისთვის, მაგრამ ზოგიერთისთვის, მათ შორის ჩემთვის, ის „უცხო ხილი“ არ არის.

● ***ეს როგორ?***

— ჯერ კიდევ 1972 წელს ძიუდოისტთა ერთ-ერთ საერთაშორისო შეჯიბრებაზე, იაპონიაში ყოფნისას, პირადად მოვსინჯე თავი სუმოს ოსტატთა საჩვენებელ შეჯიბრებაში. რამდენიმე შეხვედრა ჩავატარე და IV ადგილზე გავედი.

● ***სად თქვენი წონა და სად სუმო...***

— ბევრს ჰგონია, რომ ამ სპორტს მხოლოდ ზემწიმე წონის გოლიათები მისდევენ, უბრალოდ, მათი ორთაბრძოლა, ძიუდოსი არ იყოს, ყველაზე საინტერესო სანახავია და მეტწილად ტელეეკრანებზეც მათ პაექრობას აჩვენებენ. ისე, სამი წონითი კატეგორიაა საშუალო (85 კგ-მდე), ქვემძიმე (85-115) და მძიმე (+115), ამასთან, შეჯიბრება ტარდება აბსოლუტურ პირველობაში.

● ***როგორც ჩანს, წონითი კატეგორიების შემოღება აუცილებელი მოთხოვნა იყო, რომ სპორტის სახეობად აღიარებულიყო.***

— დიახ.

● ***კი მაგრამ, ეს არ არის ტრადიციებიდან გადახვევა?***

— რა თქმა უნდა, არა, აბსოლუტური პირველობა ხომ ყველას აძლევს შანსს დაამტკიცოს თავისი შესაძლებლობები.

● ***მაგრამ ოლიმპიურ სახეობად რომ აღიარონ, მხოლოდ მსოფლიოში მისი მასობრივად გავრცელება ხომ არაა საკმარისი...***

— ცხადია. ოლიმპიური ქარტიის შესაბამისად უნდა შეიქმნას საერთაშორისო და ეროვნული ორგანიზაციები, რათა მართვა და კოორდინაცია განხორციელდეს. საერთაშორისო ფედერაცია, კონტინენტური და რეგიონული ორგანიზაციები უკვე შეიქმნა. მაგალითად, ჩამოყალიბდა ევროპის, აგრეთვე აზიის, აფრიკის, ოკეანიის, პან-ამერიკის და ა.შ. სუმოს კავშირები. ამასთან, უნდა ტარდებოდეს ეროვნული და კონტინენტურ-რეგიონული შეჯიბრებები, მსოფლიო ჩემპიონატები.

● ***მსოფლიო ჩემპიონატები, რამდენადაც ვიცით, კარგა ხანია ტარდება...***

— დიახ, 1992 წლიდან. სწორედ იმ პირველი ჩემპიონატისთვის დადგინდა წონითი კატეგორიები, რომელზედაც ზემოთ მოგახსენეთ. ოღონდ, საშუალო, მძიმე და აბსოლუტურ წონას შემდეგ, უკვე მეორე ჩემპიონატიდან დაემატა ქვემძიმე წონა. გეტყვით, რომ პირველობები და ჩემპიონატები პირადგუნდურია. ესეც აუცილებელი მოთხოვნაა.

● ***საინტერესოა, რამდენი ქვეყანა მონაწილეობდა პირველ ჩემპიონატში, ვინ იყო უძლიერესი და ვის ხვდა საპრიზო ადგილები.***

— 1992 წელს 25 ქვეყნის წარმომადგენლები გამოდიოდნენ არენაზე. გაიმარჯვეს იაპონელებმა, მეორე ადგილი ხვდათ ამერიკელებს, მესამე — მონღოლებს და ფრანგებს.

● ***ჩვენ როდის ჩავერთვებით მსოფლიო ჩემპიონატში?***

— რიგით მეშვიდე მსოფლიო ჩემპიონატს წლეულს, 12 დეკემბრიდან, იაპონია უმასპინძლებს. უკვე მივიღეთ მიწვევა და ფედერაციის დაფუძნებასაც ამიტომ ვჩქარობთ. სულ მალე, 8 აგვისტოს, ესტონეთის საერთაშორისო ტურნირში გამოვალთ, 18-22 აგვისტოს კი ევროპის ჩემპიონატში მიიღებს მონაწილეობას ჩვენი ნაკრები გერმანიაში.

● ***ნაკრებიო თქვით, უკვე გუნდიც გვყავს?***

— ვარჯიშებს ვატარებთ, რამდენიმე შესაფერისი სპორტსმენი შერჩეულია, ძიებას ვაგრძელებთ, ტალანტები ჩვენში, საბედნიეროდ, როგორც იტყვიან, სანთლით საძებნი არ არის.

● ***წარმატებებს გისურვებთ!***

— დიდი მადლობა, გვადევნეთ თვალ-ყური...

ესაუბრა
თ. თომაშვილი



**რედაქციისაგან:** „ლელოს“ ფურცლებზე მომავალში, დროდადრო შემოგთავაზებთ სუმოს წესებს, გაგაცნობთ განვლილ მსოფლიო ჩემპიონატებში გამარჯვებულებს.

## მესამე ქართველი უეფაში

მოგეხსენებათ, აქამდე უეფას სხვადასხვა კომიტეტების წევრები იყვნენ ნოდარ ახალკაცი (ტექნიკური კომიტეტი) და მერაბ ჟორდანია (პროფესიული კომიტეტი). ახლა კი ცნობილი გახდა, რომ სამოყვარულო კომიტეტის წევრად არჩეულია კიდევ ერთი ჩვენი თანამემამულე, სფფ-ს საერთაშორისო განყოფილების უფროსი დავით პატრიაშვილი.

## ფედერაციის რჩეულნი

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ალმასკომმა გამოავლინა IX ეროვნული ჩემპიონატის მსაჯთა საუკეთესო ათეული, კვლავინდებურად ისინი სიძლიერის მიხედვით განლაგდნენ:

**საუკეთესო არბიტრები:**

1. მერაბ მალაღურაძე (თბილისი),
2. ოთარ გუნთაძე (ლანჩხუთი),
3. სერგო კვარაცხელია (ზუგდიდი),
4. ალექსანდრე შილაკაძე (თბილისი),
5. თამაზ ლაცაბიძე (სურამი),
6. ელგუჯა სილაგავა (თბილისი),
7. თამაზ ლორთქიფანიძე (თბილისი)
8. გურამ ასკარ-ოღლი (ქარელი),
9. სოსო კახიანი (თბილისი),
10. ლევან ფანიაშვილი (თბილისი).

**საუკეთესო გვერდითი მსაჯები:**

1. ზურაბ დოლიძე (თბილისი),
2. ლევან მიქელაძე (სამტრედია),
3. მამუკა ელიკაშვილი (თბილისი),
4. კობა გაბრიაძე (ქუთაისი),
5. ლავრენტი რაზმაძე (გორი),
6. სოსო შალამბერიძე (თბილისი),
7. ვახტანგ ჩოჩიშვილი (თბილისი),
8. ავთანდილ ორდინიძე (ონი),
9. ავთანდილ სამხარაძე (სოხუმი),
10. გოჩა ცირდავა (გულრიფში).

## უცხოეთის ფეხბურთის ამბები

### განა მართლა სულ ერთია?

ფეხბურთი რომ სულ უფრო პრაგმატული ხდება, ამაში, ცხადია, არაფერია კარგი.

ამას წინათ ინგლისელმა ფეხბურთელებმა კიდევ ერთხელ განიხილეს 1986 წელს მარადონას მიერ ხელით გატანილი გოლი.

— მეც ასე მოვიქცეოდი — განაცხადა ალან შირერმა — არის მატჩები, სადაც მთავარი გოლის გატანაა. რითი გაიტან — ხელით, ფეხით, თავით თუ უკანალით — ამას პრინციპული მნიშვნელობა არა აქვს. მთავარია ბურთი ჩაითვალოს, მთავარია შენმა გუნდმა გაიმარჯვოს.

მთავარია?!

### კეთილი სურვილიც ამას ჰქვია!

ფეხბურთის დიდმა გულშემატკივარმა საფრანგეთის პრეზიდენტმა ჟაკ შირაკმა ნაკრების მოთამაშეებს აი რა უსურვა:

ჟანა დ'არკის ჯარებივით უნდა შეერწყათ ერთმანეთს, ისეთი ძლიერები უნდა იყოთ, როგორც ნაპოლეონის გვარდია, ისეთი თავგანწირულები, როგორც წინააღმდეგობის მოძრაობის მებრძოლები.

ისე კი, როგორც მიმომხილველები აღნიშნავენ, საფრანგეთის ნაკრებს ერთი ღირსებაც აქვს, მეორეც და მესამეც.

### პელე: თავიდან ბოლომდე ტყუილია

ჩვენს მკითხველებს კარგად ახსოვთ ბრაზილიის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც ერთი ქალიშვილი პელეს ასულად სცნო, თუმცა თვითონ ფეხბურთელი შორს იჭერს და ამ ფაქტს არ აღიარებს სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ, რაღა გაეწყობოდა, პელე იძულებული გახდა შერიგებოდა ქალიშვილის მიერ მისი გვარის მიღებას. ახლა კი 34 წლის სანდრა არანტეს დო ნასიმენტომ უკვე მოზრდილი წიგნი გამოსცა მამამისის შესახებ, თანაც 100 ათასიანი ტირაჟით.

„აქ ყველაფერი თავიდან ბოლომდე ტყუილია" — აცხადებს პელე, წიგნი კი ელვის სისწრაფით გაიყიდა.

### თუკი ჭორებს ავრცელებ!

როგორც კი დამთავრდა მსოფლიო ჩემპიონატი, ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტრომ თავისი 16 თანამშრომელი გაანთავისუფლა... ჭორების გავრცელებისათვის.

საქმე ის არის, რომ, ეს ჭორები შემდეგ ბევრმა გაზეთმა გამოაქვეყნა. ისინი საგარეო-საქმეთა სამინისტროს გენერალურ დირექტორ ეითან ბენცურს ეხებოდა. ცნობების თანახმად, ეს მაღალი თანამდებობის მოხელე თავის ოჯახთან ერთად საფრანგეთში ფეხბურთით ტკბებოდა... სახელმწიფოს ხარჯზე. ეს მხოლოდ გენერალურ დირექტორს როდი ეხება გაზეთები ასახელებდნენ ათზე მეტ ისრაელელი მოხელის გვარს, რომლებიც საფრანგეთში სწორედ მსოფლიო ჩემპიონატის დროს „აღმოჩნდა". ყველა ფულს საკუთარი ჯიბიდან იხდიდა თუ სახელმწიფოს „ჯიბიდან", ამას კიდევ შემოწმება სჭირდება.

### ანრი მიშელი — მაროკოს მოქალაქე

ცნობილ ფრანგ მწვრთნელ ანრი მიშელს, რომელიც დიდი წარმატებით მუშაობს მაროკოს ნაკრებთან, ამ ქვეყანაში სახელი და პატივი არ აკლია. ჯერ კიდევ მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე, მაროკოს მეფე ჰასან-II მას ქვეყნის უმაღლესი ორდენი უბოძა.

ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ ანრი მიშელს უკვე მაროკოს მოქალაქობა მისცეს. ამას ქვეყნის ხელისუფლები უაღრესად იშვიათად აკეთებენ.

### მეტი რაღა დამტკიცება უნდა

1992 წელს ნეაპოლის სასამართლომ დიეგო მარადონას დაავალა ალიმენტი გადაეხადა პატარა ბიჭისათვის, რომლის მამობაც ექსპერტიზამ ფეხბურთელს ნათლად დაუმტკიცა, თუმცა არგენტინელი ვარსკვლავი ამას დღემდე უარყოფს.

მარადონას თვეში 5 მილიონი ლირა (2770 დოლარი) უნდა გადაეხადა, თუმცა ეს დღემდე არც ერთხელ არ გაუკეთებია, ისე კი, ძალიან გვარიანი თანხა დაგროვდა.

ის, რომ 12 წლის დიეგო არმანდი — უმცროსი ნამდვილად დიდი ფეხბურთელის შვილია, ამას, იტალიელი მიმომხილველების აზრით, დიდი ფიცი და მტკიცება არ ესაჭიროება. მას უკვე აქვს, პირველი, ჭაბუკური კონტრაქტი „ნაპოლისთან" და ისე ბრწყინვალედ თამაშობს, რომ ყოველგვარი ეჭვი ქრება.

### როცა უფულობა არ გაწუხებს

„მანჩესტერ იუნაიტედის" დირექტორატი ნამდვილად არ უჩივის უფულობას. მან 14,3 მილიონი გირვანქა სტერლინგი გამოჰყო დიდი სპორტული კომპლექსის ასაშენებლად. ამისათვის მხოლოდ მთავრობის დასტური ლა სჭირდება.

კომპლექსი უნდა აშენდეს მანჩესტერის გარეუბან კარინგტონში. იქ იქნება 9 სტანდარტული მინდორი და, გარდა ამისა, კიდევ ერთი უფრო მოზრდილიც, ხელოვნური გათბობით. სპორტკომპლექსში სხვადასხვა ნაგებობასაც მოაწყობენ.

„მანჩესტერ იუნაიტედის" მესვეურები იმედოვნებენ, რომ კარინგტონის კომპლექსის მშენებლობა არ გაჭიანურდება და იგი უკვე 2000 წლისათვის შევა ექსპლუატაციაში.

რა თქმა უნდა, „მანჩესტერ იუნაიტედს" საკმაო თანხაც აქვს, რომ 1998-99 წლების სეზონისათვის გუნდის შემადგენლობის გაძლიერებაზე იზრუნოს.

### „ტალანტებს ტყუილად ვკარგავთ"

როგორც რუსეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებელმა მიხეილ გერშკოვიჩმა ჟურნალისტებს განუცხადა, უცხოეთის კლუბებში ტყუილად იკარგებიან უდავოდ ნიჭიერი ჩვენი ფეხბურთელები, სამშობლოში კი აღარავინ იწვევს.

— როცა ჭაბუკთა ნაკრებში, რომელსაც იმ წლებში ვხელმძღვანელობდი, პირველად ვნახე იგორ დობროვოლსკი, ძალიან მომეწონა. მაშინ იგი ცალკეული კომპონენტებით ჩემს საკუთარ თამაშს შევადარე, რა თქმა უნდა, ჩემთვის საუკეთესო წლებში და ის დასკვნა გამოვიტანე, რომ იგორი ყველაფერში მჯობდა. ახლა, თუ იგი მეტ ყურადღებას მიაქცევს მზადყოფნას, აუცილებლად უნდა მოიწვიოთ ნაკრებში. ნამდვილად ნიჭიერი ფეხბურთელია და ბევრ რამეში დაგვეხმარება. იგივე უნდა ითქვას შალიმოვსა და კირიაკოვზე, რომელთაც ჯერ კიდევ არ უთქვამთ თავიანთი საბოლოო სიტყვა.

რაც შეეხება კანჩელსკისსა და იურანს, მათ განაცხადეს, რომ უკვე საბოლოოდ გამოეთხოვნენ ნაკრებს.

### მთლიანად გახდა აღარ დასჭირდა

ცნობილი გერმანელი ტოპ-მოდელი ანინა თავისი ქვეყნის ნაკრების დიდი გულშემატკივარია. მან პირობა დადო, რომ გერმანელთა თიოეული გამარჯვების შემდეგ თავისებურ სტრიპტიზს მოაწყობდა, რამეს გაიხდიდა. ასეც მოიქცა, მით უმეტეს, რომ გერმანელთა საქმეები მსოფლიო ჩემპიონატზე ერთხანს ცუდად არ წარმართულა.

ანინას მაინც არ მოუხდა დედიშობილა დარჩენილიყო. ამაში გადამწყვეტი სიტყვა თქვეს ხორვატმა ფეხბურთელებმა, რომლებმაც შეიძლება ბევრისათვის მოულოდნელად, მოუგეს გერმანიის ნაკრებს.

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

# „იგი ნებისმიერ რონალდოზე მეტი ღირს"

მსოფლიოს ყოველი ჩემპიონატი ერთ ან რამდენიმე ახალ „კაშკაშა ვარსკვლავს" აწინაურებდა. ასე ელოდნენ ახლაც და თანაც ასახელებდნენ, ვინ შეიძლებოდა გამხდარიყო საფრანგეთში №1 მოთამაშე. რა თქმა უნდა, რონალდო, რომელიც აქამდე უკვე ზედიზედ ორჯერ გახდა მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი. „ვინ უნდა შეაჩეროს რონალდო – რომარიოს წყვილი?

რომარიოს „შეჩერება" ძალიან იოლი აღმოჩნდა – იგი ამ ჩემპიონატში საერთოდ არ მონაწილეობდა. რაც შეეხება რონალდოს...

შეჯიბრების დამთავრების შემდეგ ვინ აღარ შეადგინა მსოფლიოს სიმბოლური ნაკრები. არსად რონალდო არა ჩანს. ან როგორ გამოჩნდებოდა, როცა დასამახსოვრებელი ბევრი არაფერი გაუკეთებია. ბევრი ამას ტრავმებს აბრალებს. სტკიოდა ფეხი, შემდეგ ორივე ფეხიც. ფინალური მატჩის წინა ღამეს ნერვული შეტევა მოუვიდა. ყველაფერი ეს ასეა, მაგრამ სპორტში დამარცხებულთა გამართლება ძნელია, ძალიან ძნელი.

მსოფლიოს №1 ფეხბურთელებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ბევრი ექსპერტი ბევრს ელოდა ჭაბუკ ინგლისელ მაიკლ ოუენისაგან. ამასთან, იმასაც იხსენებდნენ, რომ ძალიან ახალგაზრდებს, თუნდაც მეტისმეტად ნიჭიერებს უჭირთ ასეთ უმაღლეს დონეზე წარმატებით გამოსვლა. შორს რომ აღარ წავიდეთ, მიშელ პლატინის არგენტინაში, რა თქმა უნდა, თავისი ნამდვილი შესაძლებლობები არ უჩვენებია, იგივე ითქმის მარადონაზე – ესპანეთში. დიახ, ისინი დროს საჭიროებდნენ და მხოლოდ შემდეგ გვიჩვენეს მთელი თავიანთი ხელოვნება.

ეს დრო მაიკლ ოუენს არ დასჭირვებია. ამ მხრივ იგი შეიძლება მხოლოდ პელეს შევადაროთ შვეციაში ჩატარებულ მსოფლიო ჩემპიონატში. დიახ, თავდაპირველად მწვრთნელები პელესაც უფრთხილდებოდნენ და ოუენსაც, ეს მაშინ, როდესაც ისინი, თურმე ნუ იტყვით, სავსებით მზად იყვნენ დიდი ამოცანების გადასაწყვეტად.

მაიკლ ოუენი დაიბადა 1979 წლის 14 დეკემბერს სოფელ ჰაუორდენში (უელსი), ლივერპულის „ევერტონისა" და „ჩესტერ სიტის" საკმაოდ ცნობილი ფეხბურთელის ოჯახში. ფეხბურთს კლუბ „ლივერპულის" სკოლაში დაეუფლა და ძალიან მალე მოხვდა უელსის მოსწავლეთა ნაკრებში. როგორც კურიოზს, იგონებს იმ ფაქტს, რომ 1990 წელს, როცა მსოფლიო ჩემპიონატზე მესამე ადგილისათვის მატჩი იწყებოდა, მშობლებმა ტელევიზიით იტალია-ინგლისის შეხვედრის ნება არ მისცეს და დასაძინებლად უხმეს, გვიანი არისო.

მისი სიმაღლეა 1 მ. 75 სმ, იწონის 64 კგ-ს.

ფეხბურთში წინსვლას მამამისს უმადლის, რომელიც ახლა „ლივერპულში" მუშაობს „სკაუტად" (მოხეტიალე მწვრთნელად ტალანტების მძებნელად): „მამას ხშირად მივყავდი მატჩებზე, ისე, უბრალოდ კი არ ვუყურებდით, არამედ, მიხსნიდა ვის რა შეცდომა მოუვიდა, როგორ უნდა მოქცეულიყო. დავპირდი, დადგებოდა დრო და პრემიერ-ლიგის საუკეთესო სნაიპერი გავხდებოდი, რაც შევძელი კიდეც და თანაც უფრო ადრე, ვიდრე ველოდი.

ერთი სიტყვით, 1997-98 წლების სეზონი ოუენისათვის პრემიერ-ლიგაში პირველი იყო. ახლა შედეგებს არ იკითხავთ: 36 მატჩი ჩაატარა, გაიტანა 19 გოლი, რითაც სნაიპერების რიგებში I-III ადგილები გაიყო. ინგლისის თასზე ერთხელ ითამაშა, გოლი არ გაუტანია, ლიგის თასზე კი 5 მატჩში 4 ბურთის ავტორი გახდა, ამას უეფას თასის 4 მატჩში 1 გოლიც დაემატა.

გლენ ჰოდლი, გასაგებია, დიდი ყურადღებით ადევნებდა თვალს ოუენის მატჩებს, თან მოსწონდა, ზოგი რამ აეჭვებდა და ბოლოს ისეთი რამ თქვა, რასაც, ეტყობა, ბევრჯერ გაახსენებენ.




ოუენი

„ოუენი მაინც არ არის ნამდვილი ბომბარდირი. შეიძლება, ეს ჩილეელებთან ლონდონში წაგებული სენსაციური მატჩის შემდეგ მოუვიდა, მაგრამ ჯერ კიდევ მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე ოუენი ნაკრებს ნამდვილად გაუშინაურდა: დღეისათვის უკვე 7 მატჩი აქვს ჩატარებული და 3 გოლი გატანილი.

ვინ იცის, კიდევ რამდენ ხანს ითამაშებს ოუენი, რამდენ გოლს გაიტანს, თუ, ღმერთმა დაიფაროს, რაიმე გაუთვალისწინებელი რამ არ მოხდა. ინგლისელი ჟურნალისტები ხშირად წერდნენ პოლ გასკოინის არც ისე მოსაწონ საქციელზე, გნებავთ ბრაიან გიგზზე თუ ლეს ფერდინანდზე. სპორტული რეჟიმის დაცვის თვალსაზრისით ოუენს მათთან არაფერი აქვს საერთო. იგი კვირაში 10 ათას გირვანქა სტერლინგს იღებს (ხომ წარმოგიდგენიათ მალე ეს თანხა როგორ გაიზრდება) და ცხოვრობს, როგორც ნამდვილი სპორტსმენი, გამალებით ვარჯიშობს, არც სვამს და არც ეწევა. მაშინ, როცა მისი ტოლი ფეხბურთელები თავისუფალ დროს სხვადასხვა გასართობ ადგილში ატარებენ, მაიკლმა საერთოდ არ იცის ღამის ბარებისა და დისკოტეკების გზა. იგი შინ ისვენებს, სადაც მეზობელ გოგონა ლუიზა ბონსოლს ხვდება ანდა, მაგიდის ჩოგბურთით იქცევს თავს.

როდესაც ჰოდლი მსოფლიო პირველობის წინ თავისი ნაკრების შემადგენლობის საბოლოოდ დადგენას შეუდგა, მას მხედველობაში, ყოველ მიზეზგარეშე, მხოლოდ ერთი თავდამსხმელი ჰყავდა: ალან შირერი. დაბლინის, სატონისა და კოულის კანდიდატურები ამა თუ იმ სტადიაზე უარყოფილი იქნა. ოუენი? იგი მონაწილეობდა სწორედ საფრანგეთში გამგზავრების წინ მაროკოს საერთაშორისო ტურნირში, სადაც გაიტანა ერთადერთი გოლი მასპინძლებთან შეხვედრაში. სწორედ მაროკოში გამართული ასპარეზობის შემდეგ დარწმუნდა ოუენი, რომ საფრანგეთში თამაში ნამდვილად მოუწევდა.

ჰოდლმა აღნიშნა, რომ იგი მოხიბლა მაიკლის ნამდვილად თავდაუზოგავმა ვარჯიშმა და მონდომებამ: „არ შემცდარვარ. იგი ყველაზე კარგად ასრულებდა თავის სამუშაოს. რაც მთავარია, ცდილობდა მეტი ესწავლა, მეტი აღქვა. ერთხელ ჩემს ასისტენტ ჯონ გორმანს უთხრა: „არ მჯეროდა, რომ ისე ძლიერად ვთამაშობ, როგორც ამას ჟურნალისტები წერდნენ. ძალიან კარგი ნიშანია – ეს იმაზე მეტყველებს, რომ „ვარსკვლავური ავადმყოფობა" ჯერჯერობით არ ემუქრება. ვარჯიშობს იმდენს, ორ კაცს რომ უფრო შეეფერება. განსაკუთრებით იმას სწავლობს, რაც, მისი აზრით, ჯერჯერობით სრულყოფილად არ იცის. თვლის, რომ ფიზიკურად ჯეროვნად არ არის მომზადებული."

ახლა კი გავეცნოთ პრესაში გამოქვეყნებულ აზრებს ოუენის შესახებ:

**„კორეიო ბრაზილიენსე" (ბრაზილია):** ინგლისში მომდევნო ათასწლეულის ვარსკვლავი დაიბადა. მაიკლ ოუენი კიდევ დიდხანს ატკივებს თავს მთელი მსოფლიოს მცველებს. მის მიერ გატანილი გოლი არგენტინის ნაკრებთან მსოფლიო კლასისა იყო.

**„ოლე" (არგენტინა):** იგი სულ 18 წლისაა, მაგრამ უკვე ვეტერანის მენტალიტეტი აქვს. ერთადერთია, ვინც პენალტების სერიაში როა მოატყუა, აიძულა სხვა მხარეზე გადამხტარიყო, ბურთი კი საპირისპირო კუთხეში გააგზავნა.

**„გაძეტა დელო სპორტი" (იტალია):** მან ისევე დასცა თავზარი მცველებს, როგორც პელემ 1958 წელს. ის, რასაც ეს ვუნდერკინდი მინდორზე აკეთებს, პირდაპირ ფენომენურია. „ბები-გოლი" „ლივერპულისა" და ინგლისის ნაკრების ყველა გულშემატკივრის ნამდვილი კერპია.

**„მონდი" (საფრანგეთი):** მსოფლიო ლეონარდო დი კაპრიოს (მსახიობი, რომელიც ფილმ „ტიტანიკში" თამაშობს) შემდეგ მეორე ჭაბუკ ვარსკვლავს გაეცნო. თავის ასეთ ახალგაზრდულ ასაკში ოუენი დიდებულად თამაშობს და მოიპოვა კიდეც ტურნირის აღმოჩენის სახელი.

**„ას"-ი (ესპანეთი).** ეს რონალდოს, დელ პიეროსა და ორტეგას ჩემპიონატი არ იყო, ეს იყო მაიკლ ოუენის ჩემპიონატი. საწყენი მხოლოდ ის არის, რომ მაინც ტახტი ვერ მოიპოვა.

ახლა კი მოვუსმინოთ გამოჩენილ ინგლისელ თავდამსხმელ გარი ლინეკერს: „ვფიქრობ, მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ ინგლისი ოუენს დაკარგავს. რომელიმე კონტინენტური კლუბი აუცილებლად იყიდის მას. საბედნიეროდ, მაიკლი ის კაცი არ არის, რომელიც ფულის გულისთვის სადმე წავა. იგი ამჯობინებს შინ დარჩეს და თავისუფალი დრო უცხო ენების სწავლას მოანდომოს. არასოდეს გამიტანია ისეთი გოლები, როგორიც 18 წლის მაიკლ ოუენმა არგენტინელებს გაუტანა. არ მეგონა, რომ ასეთ ასაკში სეზონში 50-60 მატჩის ჩატარება შეიძლებოდა, თანაც ასეთი სისწრაფით. ოუენის უნიკალობა იმის ერთადერთი პირობაა, რომ ჰოდლს, ნაკრების თამაშით საყოველთაო უკმაყოფილების პირობებშიც კი, მაინც სურს მისი აღნიშვნა. ის და ბეკჰემი ანტიპოდები არიან. ბეკჰემი მაინც გასკოინის გზით წავიდა. ვფიქრობ, ეს დროებითია – დევიდი სათანადო დასკვნებს გამოიტანს. ახლა ჩვენ კარგი ეროვნული ნაკრები გვყავს. თაობათა ცვლა თანდათანობით ხდება და პრაქტიკულად არც კი იგრძნობა. ინგლისი ამ საუკუნის ევროპის უკანასკნელ ჩემპიონატში პირველი ადგილის ერთერთი მთავარი პრეტენდენტი იქნება. ნახეთ, როგორი შემადგენლობა გვეყოლება: ძმები ნევილები, კემპბელი, ბეკჰემი, სკოულზი, რიო ფერდინანდი, და, რა თქმა უნდა, მაიკლი, რომელიც ჯერ კიდევ დიდხანს „იქუხებს". 34 წელი გავა მას შემდეგ, რაც ინგლისმა ჯერჯერობით ერთადერთი მსოფლიო ჩემპიონის წოდება მოიპოვა. ვიმედოვნებ, ეს ახალგაზრდობა ინგლისს უკვე ევროპის ჩემპიონის წოდებასაც შემატებს.

ახლა კი ისევ გლენ ჰოდლი – რას ფიქრობს იგი, მიაჩნია მაიკლი, რომელიც 19 წლისა დეკემბერში შესრულდება, რაღაც განსაკუთრებულ სუპერმენად? სრულიადაც არა. „მან ჯერ კიდევ ძალზე ბევრი რამ უნდა ისწავლოს და ამას გააკეთებს კიდეც. თვალყური ადევნეთ მის თამაშს ახალ სეზონში, როცა ჩემი აზრით, საფრანგეთის ყველა გაკვეთილს გაითვალისწინებს. თუ ყველაფერი ასე განვითარდა, 5-7 წლის შემდეგ მისგან ნამდვილი სუპერვარსკვლავი გამოვა".

**ბივი თორელი**

| № | I ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | იტალია | | — | — | — | — | | |
| 2 | დანია | — | | — | — | — | | |
| 3 | შვეიცარია | — | — | | — | — | | |
| 4 | უელსი | — | — | — | | — | | |
| 5 | ბელარუსი | — | — | — | — | | | |

| № | II ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ნორვეგია | | — | — | — | — | — | | |
| 2 | საბერძნეთი | — | | — | — | — | — | | |
| 3 | საქართველო | — | — | | — | — | — | | |
| 4 | ლატვია | — | — | — | | — | — | | |
| 5 | სლოვენია | — | — | — | — | | — | | |
| 6 | ალბანეთი | — | — | — | — | — | | | |

| № | III ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | გერმანია | | — | — | — | — | | |
| 2 | თურქეთი | — | | — | — | — | | |
| 3 | ფინეთი | — | — | | — | — | | |
| 4 | ჩრ.ირლანდია | — | — | — | | — | | |
| 5 | მოლდოვა | — | — | — | — | | | |

| № | IV ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | რუსეთი | | — | — | — | — | — | | |
| 2 | საფრანგეთი | — | | — | — | — | — | | |
| 3 | უკრაინა | — | — | | — | — | — | | |
| 4 | ისლანდია | — | — | — | | — | — | | |
| 5 | სომხეთი | — | — | — | — | | — | | |
| 6 | ანდორა | — | — | — | — | — | | | |

| № | V ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ინგლისი | | — | — | — | — | | |
| 2 | ბულგარეთი | — | | — | — | — | | |
| 3 | შვედეთი | — | — | | — | — | | |
| 4 | პოლონეთი | — | — | — | | — | | |
| 5 | ლუქსემბურგი | — | — | — | — | | | |

| № | VI ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ესპანეთი | | — | — | — | — | | |
| 2 | ავსტრია | — | | — | — | — | | |
| 3 | ისრაელი | — | — | | — | — | | |
| 4 | კვიპროსი | — | — | — | | — | | |
| 5 | სან-მარინო | — | — | — | — | | | |

| № | VII ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | რუმინეთი | | — | — | — | — | — | | |
| 2 | პორტუგალია | — | | — | — | — | — | | |
| 3 | სლოვაკეთი | — | — | | — | — | — | | |
| 4 | უნგრეთი | — | — | — | | — | — | | |
| 5 | ლიხტენშტეინი | — | — | — | — | | — | | |
| 6 | აზერბაიჯანი | — | — | — | — | — | | | |

| № | VIII ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | იუგოსლავია | | — | — | — | — | | |
| 2 | ხორვატია | — | | — | — | — | | |
| 3 | ირლანდია | — | — | | — | — | | |
| 4 | მაკედონია | — | — | — | | — | | |
| 5 | მალტა | — | — | — | — | | | |

| № | IX ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | შოტლანდია | | — | — | — | — | — | | |
| 2 | ჩეხეთი | — | | — | — | — | — | | |
| 3 | ლიტვა | — | — | | — | — | — | | |
| 4 | ბოსნია | — | — | — | | — | — | | |
| 5 | ფარერები | — | — | — | — | | — | | |
| 6 | ესტონეთი | — | — | — | — | — | | | |

# იმედს არ ჰკარგავს



არც ისე დიდი ხნის წინათ ჯენიფერ კაპრიატი მეტად პერსპექტიულ ჩოგბურთელად ითვლებოდა. გავიხსენოთ, მან ხომ 1992 წელს ბარსელონის ოლიმპიადის საჩოგბურთო ტურნირი მოიგო. ახლა ოლიმპიური ჩემპიონი მხოლოდ 21 წლისაა, მაგრამ...



● ***გაქვთ იმედი, რომ კვლავ მოხვდებით, ვთქვათ, თანამედროვეობის უძლიერესი ჩოგბურთელების პირველ ათეულში?***

— ეს მშვენიერი რამ იქნებოდა, მაგრამ არ ვიცი, რამდენი ხანი მოუნდება ამ ამოცანის გადაჭრას.

● ***წლეულს რას აპირებთ?***

— მინდა რაც შეიძლება მეტ ტურნირში მივიღო მონაწილეობა.

● ***ადრე მამა გავარჯიშებდათ, ახლა რომელ მწვრთნელთან მუშაობთ?***

— მუდმივი მწვრთნელი არა მყავს. შინ კვლავ მამაჩემი მავარჯიშებს. სპარინგ-პარტნიორის როლში გამოდის ჩემი ძმა, 18 წლის სტივენი.

● ***მას შეუძლია თქვენ თუნდაც ერთი სეტი მოგიგოთ?***

— იგი ცუდად არ თამაშობს, მაგრამ რომ ერთი სეტი მომიგოს, ამისათვის ძალიან უნდა გაუღიმოს ბედმა.

ერთი სიტყვით, კაპრიატი იმედს არ ჰკარგავს. თუმცა ის ხომ სულ 21 წლისაა.

## რა ხდება ქვეყანაზე

### კეთილი ნების თამაშები „ბაანგრევს კედელს"

ხშირად გვსმენია: სპორტი — მშვიდობის დესპანი. და მართლაც, სპორტსმენებს შეუძლიათ ფასდაუდებელი სამსახური გაუწიონ ქვეყნებს დიპლომატიური ურთიერთობის დასამყარებლად.

ჯერ კიდევ 1980 წელს წარმოიშვა გაუვალი „კედელი" აშშ-სა და ირანს შორის, რომლის „გარღვევაში" გარკვეულ წვლილს შეიტანს ირანელ მოჭიდავეთა ჩასვლა ამერიკაში. ეს კეთილი ნების მსოფლიო თამაშებზე მოხდება, რომელსაც ლინკოლნის ქვეყანა უმასპინძლებს.

ამ ქვეყნების სპორტული ურთიერთობის აღდგენა წლევანდელ ზამთარს დაიწყო, როცა ამერიკის ჭიდაობის ფედერაციამ თეირანის ტურნირზე 5 მოჭიდავე და ამდენივე თანმხლები პირი მიავლინა. ორი თვის შემდეგ ირანელი ფალავნები აშშ-ს ტურნირს ეწვივნენ.

### ტაისონი ჯერ დუმს

ამ დღეებში შესრულდა წელიწადი, იმ კურიოზის შემდეგ, ტაისონმა რინგზე ყურის ნაწილი რომ მოაჭამა მეტოქე ევანდერ ჰოლიფილდს, რაც იმას ნიშნავს, რომ დამნაშავეს შეუძლია თხოვნით მიმართოს ნევადის მოკრივეთა ასოციაციას რეაბილიტაციის შესახებ. მაგრამ იგი, მოლოდინის საწინააღმდეგოდ, დუმს.

მიუხედავად ამისა, ნევადის ათლეტთა კომისიის შემსრულებელმა დირექტორმა მარკ რატნერმა განაცხადა, რომ თუ ტაისონისგან მაინც შემოვა მსგავსი თხოვნა, მოკრივის ბედის გარკვევას სულ ცოტა, ორი — სამი კვირა მოუნდება.

როგორც ეტყობა, ტაისონი ძალზე მშვიდადაა. იგი ინტენსიურად ვარჯიშობს ქვეყნის აღმოსავლეთ სანაპიროზე. და, ალბათ, არ უნდა ასტრონომიული ჯარიმის გახსენებაც, რომელიც ჰოლიფილდთან ბრძოლაში ხულიგნობისათვის გადაიხადა — 3 მილიონი დოლარი.


## „ტოტო-ლოტო" — მოთამაშეთა სიხარული!

***19 ივლისს ჩატარდა ლატარია „ლოტო 6-42", თანმხლები „სუპერ-7" ტირაჟის მეთორმეტე გათამაშებით.***

**«ლოტო 6-42»**-ის მოგებახვედრილი რიცხვები: **7. 11. 19. 24. 36. 40.**

6 ციფრი ვერავინ გამოიცნო.
5 ციფრი – 155.90 ლარი.
4 ციფრი – 9.00 ლარი.
3 ციფრი – 1.20 ლარი.

**„ჯეკ-პოტი" 46.035 ლარი გადავიდა მომდევნო ტირაჟის საპრიზო ფონდში.**

**„სუპერ-7"**-ის მომგებიანი ციფრებია: 1 0 0 7 4 0 9

**შემდეგი** ტირაჟი შედგება 26 ივლისს, ჯეკ-პოტი **46.035** ლარი.

***ითამაშეთ ლატარია ტოტო-ლოტო! იგი თქვენი გამდიდრების შანსია! გისურვებთ წარმატებას!***

საქართველოს სპორტის ეროვნული ფონდი


## სხვადასხვა მერიდიანზე

**გოლფი.** დასრულდა „British open" (ინგლისის ღია პირველობა) Royal Birkdale-ში, სადაც გაიმარჯვა ამერიკელმა ო'მეარამ, მეორე ადგილზეა მისი თანამემამულე ვოტსი, მესამეზეც ამერიკელი, თაიგერ ვუდსი გავიდა. სენსაციად უნდა ჩაითვალოს სრულიად ახალგაზრდა ინგლისელის (ჰემპშირის საგრაფოდან) ჯასტინ როუზის მეოთხე ადგილი.

**ავტოსპორტი.** კანადის ქალაქ ტორონტოში, ონტარიოს ტბის ნაპირას, მოლსონის ტრასაზე გაიმართა Fedex კარტის (ინდიკარი) რბოლა. იქ იმარჯვა იტალიელმა ალექს ძანარდიმ, რომელმაც ფინიშამდე 3 წრით გაუსწრო ამერიკელ მაიკლ ანდრეტის, მესამეა კანადელი ჯიმი ვასერი. საერთო ჩათვლაში ლიდერობს ძანარდი — 188 ქულა, ვასერს 106, ხოლო კანადელ გრეგ მურს 98 ქულა აქვს. მორიგი რბოლა მიჩიგანის შტატში გაიმართება.

**ჩოგბურთი.** დევისის თასის მეოთხედფინალში ესპანელებმა სძლიეს შვეიცარიელებს 3:2. შვეციამ დაამარცხა გერმანია — 3:2, ხოლო იტალიამ — ზიმბაბვე 5:0.

**ფეხბურთი.** MLS-ში (მეიჯერ ლიგ სოკერი) გაიმართა მორიგი ტური. „ჩიკაგო ფაია" — დ. ს. იუნაიტედი 1-4, „მაიამი ფიუჟენი" — „ლოს ანჯელეს გალაქსი" 3-2, „ნიუ ინგლანდ რევოლუშენ" — „დალას სთარზი" 3-1.

**მოტოსპორტი.** გერმანიის „გრან პრი". წილად ხვდა ავსტრალიელ მაიკლ დუეინსს, მეორე ადგილზეა იტალიელი მაქს ბიაჯი, მესამეზე — ესპანელი ალექს კრივილე. საერთო ჩათვლაში ლიდერობს დუეინი 160 ქულა, 148 ქულით ბიაჯი მეორეა.

**ველოსპორტი.** გაიმართა Tour de France-ის მე-8 ეტაპი — ქალაქ ბრივ ლა გალარდიდან მონტაბანამდე. გაიმარჯვა ფრანგმა სპორტსმენმა დიურანმა, მეორეა იტალიელი ტაფი, მესამე ადგილიც აპენინელს ხვდა წილად — საკის, საერთო ჩათვლაში ლიდერობს ფრანგი დეზბიენი, მეორეზეა ტაფი, მესამეზე — ბოლო ეტაპის გამარჯვებული დიურანია. ცნობილი გერმანელი ველომრბოლი ულრიხი მეხუთეა.

**კეტბურთი.** MLB-ში (მეიჯერ ლიგ ბეისბოლი) მორიგი ტურის შედეგები ასეთია: „ფილადელფია ფილიზ" — „ნიუ-იორკი" 0:7, „სან დიეგო" — „ცინცინატი" 2:1, „ბოსტონი" — „დეტროიტი" 9:5, „ნიუ იორკ იანკიზ" — „ტორონტო" 10:3. „კანზას სიტი" — „სიეტლი" 5:8.

მოამზადა
ბია ახალაძემ





**21 ივლისი, სამშაბათი**
***საქართველოს ტელევიზია: იბერია.*** „ბურთი და მოედანი" (12.00; 19.20). კავკასია. „ვარსკვლავები" (17.45). ***ტელეკომპანია VII არხი.*** „კეთილი ნების თამაშები" (10.00; 00.05). ***რუსეთის ტელევიზია. НТВ.*** „კეთილი ნების თამაშებზე" (15.00). ***НТВ плюс спорт.*** ფრენბურთის გაკვეთილები (7.00; 17.10). კალათბურთი. ნბა (8.15; 16.00). „კეთილი ნების თამაშებზე" (10.00; 18.00; 20.00). საჭადრაკო მიმოხილვა (15.25). ***EUROSPORT.*** მოტოსპორტი (10.30; 0.00). ველოსპორტი (11.00; 13.00; 19.30; 0.00). ფეხბურთი (20.00). კრივი (23.00).

**22 ივლისი, ოთხშაბათი**
***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო მატჩი: „დინამო" (თბილისი) — „ვლაზნია" (ალბანეთი) (19.00). უეფას თასის საკვალიფიკაციო მატჩი: „კოლხეთი-1913" (ფოთი) — „ცრვენა ზვეზდა" (იუგოსლავია) (23.10). კავკასია. „ვარსკვლავები" (17.45). ***ტელეკომპანია VII არხი.*** „კეთილი ნების თამაშებზე" (10.00). ბრაზილიის საფეხბურთო ჩემპიონატი (15.25). რუსეთის საფეხბურთო ჩემპიონატი (0.45). ***რუსეთის ტელევიზია. РТР.*** რუსეთის საფეხბურთო ჩემპიონატი: „ლოკომოტივი" (მოსკოვი) — „სპარტაკი" (მოსკოვი) (17.45). ***НТВ.*** რუსეთის საფეხბურთო ჩემპიონატი (0.15). ***НТВ плюс спорт.*** ბოდიბილდინგის გაკვეთილები (7.05; 15.10). კრივი (9.15). „კეთილი ნების თამაშები" (10.00; 18.00; 20.00). ფეხბურთი (15.25; 22.00; 0.45). ***EUROSPORT.*** ავტოსპორტი (10.30; 21.00; 2.00). ჩოგბურთი (11.30; 19.30). ველოსპორტი (12.00; 14.00; 0.00).

**23 ივლისი, ხუთშაბათი**
***საქართველოს ტელევიზია. კავკასია.*** „ვარსკვლავები" (17.45). ***ტელეკომპანია VII არხი:*** „კეთილი ნების თამაშები" (10.00). რუსეთის საფეხბურთო ჩემპიონატი (15.25). ჩოგბურთი (0.55). ***რუსეთის ტელევიზია. НТВ плюс спорт.*** მაგიდის ჩოგბურთის გაკვეთილები (7.05; 15.10). გოლფი (7.45). ფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი (8.15; 15.25). კეთილი ნების თამაშები (10.00; 18.00; 20.00). ჩოგბურთი (0.55). ***EUROSPORT.*** ფეხბურთი (10.30). ველოსპორტი (12.00; 17.00; 19.00; 0.00). მოტოსპორტი (15.00; 2.00). ჩოგბურთი (19.30). კრივი (23.00).

**24 ივლისი, პარასკევი**
***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** „ასპარეზი" (21.15). ***კავკასია.*** „ვარსკვლავები" (17.45). ***რუსეთის ტელევიზია. НТВ.*** „საფეხბურთო კლუბი" (18.25). ***НТВ плюс спорт.*** ჭადრაკის გაკვეთილები (7.05; 15.10). ჩოგბურთი (9.25). „კეთილი ნების თამაშები" (10.00; 18.00; 20.00). კრივი (0.55). ***EUROSPORT.*** გოლფი (10.30). ფეხბურთი (11.30). ავტოსპორტი (13.00; 21.00). მოტოსპორტი (14.00; 23.00). ველოსპორტი (16.00; 17.00; 0.00; 3.00).

**25 ივლისი, შაბათი**
***საქართველოს ტელევიზია. II არხი.*** „ავტოსპორტი" (19.50). ***კავკასია.*** „ვარსკვლავები" (17.45). ***ტელეკომპანია VII არხი.*** „ფიფას ჟურნალი" (2.00). ***რუსეთის ტელევიზია. ORT-1.*** „რა მოხდა მაშინ". ედუარდ სტრელცოვის ტრაგედია (17.00). ***РТР.*** ავტოსპორტი (1.25). ***ТВ центр.*** „ფორმულა-1" (15.55). ***НТВ плюс спорт.*** ფეხბურთის გაკვეთილები (9.40). „კეთილი ნების თამაშები" (10.00; 18.00; 20.00). ჩოგბურთი (14.00). „ფიფას ჟურნალი" (2.00). ***EUROSPORT.*** ველოსპორტი (12.30; 16.00; 17.00; 0.00). სინქრონული ცურვა (15.00). ჩოგბურთი (19.30). ფეხბურთი (22.00). კარტინგი (2.00). კრივი (2.30).

**26 ივლისი, კვირა**
***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** „მსოფლიოს ახალგაზრდულ თამაშებზე" (23.30). ***რუსთავი-2.*** სპორტული პროგრამა (20.30). ***კავკასია.*** „ვარსკვლავები" (17.15). ***ტელეკომპანია VII არხი.*** „კეთილი ნების თამაშები" (10.00). ჩოგბურთი (13.00). ***რუსეთის ტელევიზია. НТВ.*** „კეთილი ნების თამაშებზე" (15.30). ***TV-6.*** კვირის სპორტი (16.20). ***ТВ центр.*** „ფორმულა-1"-ის ჩემპიონატი (16.45). ***НТВ плюс спорт.*** „ფიფას ჟურნალი" (7.05). კალათბურთი (7.30; 1.25). „კეთილი ნების თამაშები" (10.00; 19.00; 20.00). ჩოგბურთი (13.00). საჭადრაკო მიმოხილვა (0.55). ***EUROSPORT.*** მსოფლიო ჩემპიონატი თევზ ჭერაში (11.00). კარტინგი (12.00; 21.00). ველოსპორტი (13.30; 14.15; 0.30). ჩოგბურთი (19.30). სინქრონული ცურვა (2.30).




**იმკურნალეთ იქ, სადაც მკურნალობენ ცნობილი სპორტსმენები**

მომსახურება იდეალური, სპეციალისტები — საუკეთესო, შედეგი — აღდგენილი ჯანმრთელობა!

გამოკვლევა, კონსულტაცია და მკურნალობა ფასიანია.

მისამართი: ი. ჭავჭავაძის, 49 ა; ტელ: 23-59-59; 29-47-48.






















**ქ. თბილისის მერიის სპორტის სამმართველო თანაგრძნობას უცხადებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ვიცე-პრემიერის თანაშემწეს ირაკლი დვალს დედის გარდაცვალების გამო.**

**გაზეთ „ლელოს" რედაქცია თანაუგრძნობს კოლეგას საქართველოს ტელევიზიიდან, სპორტულ კომენტატორს თემურ ჯაფარიძეს მამის გარდაცვალების გამო.**

## კროსვორდი



**თარაზულად:** 1963 წლის „ოქროს ბურთის" მფლობელი მეკარე, 4. ბრაზილიელი ფეხბურთელი, მცველი, 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონი, 8. ახლო წარსულში „მანჩესტერ იუნაიტედის" ფრანგი ფეხბურთელი, 10. 70-იანი წლების ქართველი ტანმოვარჯიშე ვაჟი (ფოტო), 12-13. გერმანელი ფეხბურთელი, ნახევარმცველი, მსოფლიოს 1974 წლის ჩემპიონი, 14. ქართველი ძიუდოისტი, მოსკოვის ოლიმპიადის ჩემპიონი, 18. „პარმას" და კოლუმბიის საფეხბურთო ნაკრების ფორვარდი, 25. პოლონეთის საფეხბურთო კლუბი, 29 გერმანელი ფეხბურთელი, ფორვარდი, 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონი, 33. წარსულში გამოჩენილი ქართველი წყალბურთელი, 36. ლიტველი კალათბურთელი, სეულის ოლიმპიადის ჩემპიონი, 39-40. ბელარუსი ჩოგბურთელი (ფოტო), 42. სტადიონი სტოკჰოლმში, 44. სპორტული ინვენტარის მწარმოებელი ფირმა, 46. ახლო წარსულში მადრიდის „ატლეტიკოს" საფეხბურთო მწვრთნელი, 48. ამერიკელი მოცურავე, 9 ოლიმპიური მედლის მფლობელი.

**შვეულად:** 3. „ცბიერი მიხეი", 5. ქართველი მოჭადრაკე ქალი, 9. 60-იანი წლების ცნობილი არგენტინელი ფეხბურთელი, 11. „იუვენტუსის" ფორვარდი (ფოტო), 15. თბილისის „დინამოს" თავდამსხმელი 50-60-იან წლებში, 16. „იუვენტუსის" მეკარე (ფოტო), 17-34. წარსულში გამოჩენილი ავსტრალიელი ჩოგბურთელი, 19-37. ბრაზილიის საფეხბურთო ნაკრების ყოფილი მწვრთნელი (ფოტო), 20. „რეალის" არგენტინელი ნახევარმცველი, 21. მსოფლიოს ჩემპიონი ჭადრაკში ვაჟთა შორის (1894-1921 წლებში), 23. გამოჩენილი კანადელი ჰოკეისტი, 24. „ჩელსის" იტალიელი მოთამაშე მწვრთნელი, 28. ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქალაქი, 32. „იუვენტუსის" მეპატრონე და პრეზიდენტი, 35. წარსულში სომეხი ტანმოვარჯიშე, 36. არგენტინელი ჩოგბურთელი ქალი.

**დიაგონალურად:** 1-26. წარსულში ცნობილი ქართველი კალათბურთელი, 9-2. გასული საუკუნის ამერიკელი მოჭადრაკე, 14-3 ლეგენდარული ქართველი მთამსვლელი, 27-7. ახლო წარსულში საქართველოს საფეხბურთო ნაკრების ნახევარმცველი, 6-11. „ლეიკერსის" კალათბურთელი, 5-22. „რეალის" თავდამსხმელი, 33-47. წარსულში სახელგანთქმული უნგრელი მოფარიკავე, 41-46. ნიგერიის საფეხბურთო ნაკრების ნახევარმცველი, 45-30. სკანდალურად ცნობილი აფრიკელი მეკარე, 31-51. ქართველი მშვილდოსანი ქალი, ოლიმპიური ჩემპიონი, 49-38. რუსი მოჭიდავე, მიუნხენისა და მონრეალის ოლიმპიადების ჩემპიონი, 50-43. ცნობილი ხორვატი მწვრთნელი ფეხბურთში.

შეადგინა ბიძინა წირქვაძემ (თბილისი).

**წინა ნომერში გამოქვეყნებული „კროსვორდის მაგიერ"-ის პასუხები:**
1. გროდასი (ნორვეგია), 2. ტაპია (ჩილე), 3. კონსელი (ავსტრია), 4. ზდრავკოვი (ბულგარეთი), 5. დე ვილდე (ბელგია), 6. სტელია (რუმინეთი).

## საჭადრაკო ამოცანა

პ. ნეუნივაკო (რუსეთი)



**შამათი 2 სვლაში**

წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:
1. ლh1!! – 2. ლh8+ მფg6 3. ლg7X,
1. ...მh2 2. ლa1+! e5 3. ლa6X,
1. ...მფe5 2. მფe7 – 3. ლe4X,
2. ...მg3 3. ლa1X,
2. ...f5 3. ლh8X.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს" სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე